ISSN 0132 — 5973

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

7
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეზოს კლუბი ბავშვების მეგობარი





კარგი წიგნი კარგი მეგობრის ტოლფასია. ამიტომ მასაც გულდაგულ უნდა შერჩევა.

კომკავშირის რაიკომში უმალვე და უყოყმანოდ მიპასუხეს:

— ეზოს კლუბი? მაგაზე ადვილი რა არის: ვაჟა ფშაველას გამზირის მეთერთმეტე კორპუსი მოძებნეთ. სწორედ ამ კორპუსის პირველ სართულზე ბინადრობს 83-ე საბინაო-საექსპლოტაციო უბნის მოზარდთა და ბავშვთა კლუბი „ცისარტყელა“. იქ პედაგოგ-ორგანიზატორი ქუქუნა წიკლაური იკითხეთ, ის გაგაცნობთ კლუბის მუშაობას. ვფიქრობთ, უკმაყოფილო არ დარჩებით...

ის კორპუსიც ადვილად ვიპოვე, კლუბსაც სწრაფად მივაგენი, ქუქუნა წიკლაურიც გავიცანი და, მართლაც კმაყოფილი და გახარებული წამოვედი — ეზოს კლუბი რეალურად არსებობს, მოქმედებს, ზრდის...

## წინა ამბავი

მეთერთმეტე მიკრორაიონის VI და VII კვარტლებში თითქმის 12 ათასი მობინადრე ცხოვრობს, ამათგან 3 ათასამდე სასკოლო ასაკის ბავშვია (სკოლა ორია — მე-2 ექსპერიმენტული და 134-ე საშუალო). კომკავშირის რაიკომის ყურადღება მიიქცია იმან, რომ არც VI და არც VII კვარტალში არ არის არც ერთი კულტურულ-მასობრივი დაწესებულება — კინო, თეატრი, ბიბლიოთეკა... არადა, ბავშვების თავისუფალ დროს ხომ უნდა მიეცეს გასაქანი? ყველას ხომ არ იტაცებს წიგნის კითხვა? ან რამდენ ხანს შეიძლება ტელევიზორთან ჯდომა?.. ჰოდა, აი, დაიბადა იდეა — საბინაო-საექსპლოატაციო უბანთან შექმნილიყო მოზარდთა კლუბი. გამოინახა პედაგოგ-ორგანიზატორი, აგრეთვე შეფ-ორგანიზაცია — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ვნიიტმე“... ცოტათი გაჭირდა კლუბისთვის „საცხოვრებელი ფართის“ გამოძებნა, მაგრამ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის და უშუალოდ პატივცემულ ნინო ქვანიას ჩარევამ ამ საქმესაც მოაბა თავი — მეთექვსმეტე კორპუსის პირველი სართულიდან ხილ-ბოსტნის მაღაზია „გაასახლეს“ და 150 კვმ ფართობი ახალშობილ კლუბს დაულოცეს.

ახლა ჯერი ქუქუნა წიკლაურზე მიდგა და მანაც დაიკაპიწა ხელები.

ეს იყო ოთხი წლის წინათ...

## ცოდნის წყაროსთვალი

„ცისარტყელას“ ერთ-ერთი უპირველესი და საამაყო მონაპოვარი საკუთარი ბიბლიოთეკაა. კლუბის საწიგნეთს ფუძე კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომმა დაუდო, ძირითადი ფონდი კი ბავშვების მიერ მოტანილმა ასობით დასახელების წიგნმა შეადგინა. ბიბლიოთეკა თანდათან იზრდებოდა და ახლახან მისი წიგნების რაოდენობამ ათასს გადააჭარბა. მეურნეობა სამაგალითოდაა მოწესრიგებული, ბავშვები — ნორჩი ბიბლიოთეკარებიც და მკითხველებიც — თვალისჩინივით უვლიან თითოეულ წიგნს. „მთავარი ბიბლიოთეკარი“ მე-2 ექსპერიმენტული სკოლის მეექვსეკლასელი ნინო მკალავიშვილია, მას გულიანად ეხმარება ორი ქეთინო — ლომსაძე და ბირკაძე.

— ორასზე მეტი მუდმივი მკითხველი გვყავს, — ამაყად ამბობს ნინო. — ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ ვინმეს წიგნი დაეჩხაპნოს, დაეზიანებინოს... ეს თაროები ჩვენმა უფროსმა მეგობრებმა, „წარმოება-4“-ის თანამშრომლებმა გვაჩუქეს. შეფები არც ახლა გვაკლებენ ყურადღებას...

ნინომ ბოდიში მომიხადა და ახალშემოსულ მკითხველს — ბუთხუზა ბიჭუნას მიუბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგიდის ჩოგბურთი მხოლოდ ერთი შეხედვითაა მარტივი თამაში, სინამდვილეში კი ძალას, სისწრაფეს, მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს. სამაგიეროდ, როგორ გვაკაჟებს...

## ყაისნაღით ხელში

ნათქვამია, თუ ქალმა ქსოვა იცის, ორი ქალიაო. მართლაც, რა სჯობს, როცა შენს გემოზე მოქსოვილ ჯემპრს ან ხელთათმანებს ჩაიცვამ, ქუდს დაიხურავ, შალს მოისხამ... ჰოდა, გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს კლუბში მოდიან და ხალისიანად ეუფლებიან ქსოვის ხელოვნებას გოგონები — ნანა ლურსმანაშვილი (IV კლ.), ირინა მეტრეველი (X კლ.), ნანა აგულაშვილი (VIII კლ.), ქეთინო მიროტაძე (VI კლ.)... ქსოვის წრეს დიასახლისი იზა მხითარიანი ხელმძღვანელობს, მას ნელი ხარაიშვილი და ლალი მაღალაშვილი ეხმარებიან.

დროდადრო ნორჩ მქსოველთა ნამუშევრების გამოფენა ეწყობა ხოლმე. იხილავ და თვალს ვერ მოსწყვეტ გოგონების ნახელავს...



დიახ, სწორად უთქვამთ: თუ ქალმა ქსოვა იცის, ორი ქალიაო.

## დარტყმა! არი-ი-ის!..

„ცისარტყელის" სპორტული მიღწევების სარკეა გივი ჩოხელის კლუბი, რომელსაც მწვრთნელი ანზორ იობაშვილი ხელმძღვანელობს. 1982 წლის აპრილში ნორჩ ფეხბურთელთა გუნდმა „მერცხალმა" (კლუბი 50-მდე მოზარდს აერთიანებს) „ტყავის ბურთის" გათამაშებაში რაიონის პირველობა მოიპოვა და კომკავშირის რაიკომის საპატიო სიგელებთან ერთად საქალაქო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება დაიმსახურა. უამრავი გულშემატკივარი ჰყავდათ დევი დევიძეს, ნუგზარ გუდაშვილს, დავით კობახიძეს, თამაზ აფციაურს, დათო გოგოლაძეს (მეტსახელად პელეს რომ ეძახიან), ზაზა ჩიქობავას და მათ ამხანაგებს. „მერცხლის" წარმატებაში ნორჩების უფროს მეგობარს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტ გოჩა ავსაჯანიშვილსაც მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი.

ფეხბურთი — მთავარია, მაგრამ კლუბის წევრები პატივს სცემენ ჭადრაკსაც,ველოსიპედსაც, მაგიდის ჩოგბურთსაც. ტარდება „ჯანმრთელობის სპარტაკიადები", „სიჭაბუკის ოლიმპიადები". ამ ღონისძიებებში მოზრდილებიც მონაწილეობენ, განსაკუთრებით აქტიურობენ სპორტული ოჯახები — გუდაშვილებისა, გოცირიძეებისა, ცაგარლებისა, ჭეხაშვილებისა...

## წინა ხაზზე

კლუბთან არსებობს ეზოს ფორპოსტი დევიზით — „სახლი უორიანოდ" (ეს სახლი VII კვარტლის მე-16 კორპუსია). როცა ფორპოსტის ხელმძღვანელმა კახა ირიაულმა (მე-2 ექსპერიმენტული სკოლის IV კლასის მოსწავლემ) მითხრა, თუ რომელიმე ჩვენი სახლის მობინადრე პიონერმა სასწავლო წელი ოროსნის სახელით დაამთავრა, კორპუსიდან გავასახლებთო, თვალებში ჩავხედე — ალბათ ხუმრობს-მეთქი... მაგრამ არა, თქვენ წარმოიდგინეთ, სერიოზულად ამბობდა...

ფორპოსტის წევრები ხშირად აწყობენ შაბათობებს, იცავენ ეზოს სისუფთავეს, უვლიან ნარგავებს, კოლექტიურად დადიან კინოთეატრებში. ნინო ბაზარაშვილი და მეგი ბაზაძე სადარბაზოებს ზედამხედველობენ — სადმე ღლისით-მზისით ნათურა ხომ არ ანთია ან გაფუჭებული ონკანიდან

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
7 ივლისი 1982
საქ კკ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი ხომ არ იღვრებაო. გურამ ბირკაძემ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში წერილი გაგზავნა — ჯამზირიდან კორპუსამდე მისასვლელი გზა დაჭაობებულ-დახრამულია და იქნებ მიხედონ, ვისაც ეგებისო (გურამი მართალია, ის ანგრეულ-დანგრეული გზა საკუთარი თვალით ვიხილე და გაზონებზე გაკვალულმა ბილიკებმა გულიც მატკინა).

ფორპოსტს აღრიცხვის ჟურნალი აქვს. უკომენტაროდ გაგაცნობთ ორ ჩანაწერს:

**გურამ ბირკაძე:** „6 ოქტომბერს ფორპოსტის წევრებმა მოვაწყეთ შაბათობა, დავასუფთავეთ ეზო, დავწვით ზედმეტი ბალახები და ფოთლები. აქტიურად მუშაობდნენ კახა ირიაული, ოთარ ანთაძე, ბადრი ყიფიანი, ოთარ აგულაშვილი, თემურ ქიმერიძე, ლაშა ბაზაძე, გიორგი წელაური...“

**კახა ირიაული:** „5 ნოემბერს კოლექტიურად წავედით კინოთეატრში. ვნახეთ ფილმი „დიადი სულის რჩეული“. მერე განვიხილეთ. ამ ფილმის გმირი იბრძვის თავისუფლებისათვის. სწორედ ჩვენც ეს მოგვეწონა“...

## ფანქრითა და ფუნჯით

„ცისარტყელას“ ნორჩი მხატვრებიც ჰყავს. ახლახან მოეწყო მე-3 ექსპერიმენტული სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე გიგა ნანუაშვილის ნახატების გამოფენა. გიგა ძირითადად ნატურიდან ხატავს; ყველას — პატარა დამთვალიერებლებსაც და უფროსებსაც — ძალიან მოეწონა მისი „დოქი“, „ლარნაკი“, „მეზურნეები“, „კურდღელი“...

ასევე მოწონება დაიმსახურა ამავე სკოლის მეექვსეკლასელ გურამ ბირკაძის ნამუშევრებმაც. ბევრს მოჰგვარა ღიმილი მისმა სურათმა „ჩვენი ეზო“: დასვენების დღეა, მშვენიერი ამინდი დგას, მობინადრეები ეზოში გამოფენილან; ბავშვები ბურთს ან ბადმინტონს თამაშობენ; დიასახლისები სარეცხს ჰფენენ; ბებიები პაწია შვილიშვილებს სიარულს ასწავლიან; თვითნაკეთ მაგიდას კი რამდენიმე შეზარხოშებული მამაკაცი მიჯდომია და „მრავალჟამიერს“ ღიღინებს...



აუცილებელი არ არის, ეს ბიჭუნები მაინცდამაინც მხატვრები გახდნენ. მთავარი ისაა, რომ ისინი ხელოვნების სილამაზეს ეზიარნენ...



## „ჩემი, შენი, მისი“...

„ჩვენი კლუბი“ — ასე ეძახიან ნორჩები „ცისარტყელას“... ამაში თვალნათლივ დავრწმუნდი, როცა ვიხილე, რა სიყვარულით ასუფთავებდნენ რემონტის შემდეგ თავიანთი კლუბის ოთახებს გოგონები და ბიჭუნები. ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდათ, ვიდრე ხის თუ აგურის მასალის ნარჩენებს გარეთ გაიტანდნენ, იატაკს გახეხავდნენ, ფანჯრის მინებს გააპრიალებდნენ.

საგრძნობი კეთილშობილური გავლენა იქონია კლუბმა მოზარდებზე ამ ოთხი წლის განმავლობაში, განუმტკიცა მათ შრომის სიყვარული, მეგობრობის რწმენა, კოლექტიურობის გრძნობა, გააკაჟა ფიზიკურად და განწმინდა მორალურად... ახლა „ცისარტყელას“ აქტიური წევრია 126-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი მამუკა სიხარულიძე; მამუკა უნარიანი ბიჭია, კარგად თამაშობს ჭადრაკს, ფეხბურთს, ქარივით დააქროლებს ველოსიპედს; თავდაპირველად იგი შორიახლო უვლიდა კლუბს, მაგრამ მერე დააინტერესა აქ გაჩაღებულმა მუშაობამ და თანდათან თვითონაც ჩაერთო თანატოლთა საქმიანობაში. კარგი ამხანაგი და საინტერესო პარტნიორი გამოდგა. ახლა უფრო წესიერად იქცევა, სწავლასაც მოუმატა, სკოლაშიც ემადლიერებიან...

## გოლოთქმა

ერთი სიტყვით, საინტერესოდ და ნაყოფიერად მუშაობს კლუბი „ცისარტყელა“. თქმა არ უნდა, ამის მთავარი მიზეზი პედაგოგ-ორგანიზატორის ენერგია და საქმისადმი სიყვარულია, მაგრამ მას რომ მხარს მშობლები უმაგრებენ, არც ეს უნდა დავივიწყოთ. განსაკუთრებით დედები აქტიურობენ. სასურველი კი იქნებოდა ამ მეტად სასარგებლო და აუცილებელ საქმიანობაში მამების ჩაბმაც და მათ მრავალმხრივ შესაძლებლობათა გამოყენება.

**ნუგზარ აფხაზავა**

ფოტო თ. ცაგარელისა

# დაუჯერებელი საიდუმლოება



ილია რუხაძე

მხატვარი თემურ ფხიკიძე

სათავგადასავლო მოთხრობა

— გამარჯობათ, ბაბუა კარპეზ! განძს ეძებთ?

კარპეზი შეკრთა და შემობრუნდა.

— ეშმაკი ხარ თუ მართლა ბაჭუას ვხედავ?

— მე ვარ, ბაბუა კარპეზ, მე! რას აკეთებთ?

— შემოჩენილი ხარ, ვიღაცა ხარ! — გაგულისდა მოხუცი. — ვისი რა საქმეა, ჩემს ეზოში რას ვაკეთებ! მიწას ვთხრი. ჩემს მიწას ვთხრი.

— არ შეიძლება ვიკითხოთ, რატომ?

— შენ კაცი კი არა, ეშმაკი ვერ გამოგაპარებს ვერაფერს! გვარი არ გიწყობს ხელს თუ ჯიში! კარგი, რაკი ასეა, გეტყვი, — გატყდა კარპეზი. — ამ ადგილას მიწის გული ცარიელი უნდა იყოს. კარგა ხანია, შევამჩნიე. აა, ნახე!

მოხუცმა ძალაყინი რამდენჯერმე ჩაჰკრა ნიადაგს. ბიჭმა ჩაიჩოქა, ყური დაადო მიწას.

— ნამდვილია! — აღმოხდა გაკვირვებულს.

ახლა თვითონ დაჰკრა ძალაყინი. სიღრმიდან ყრუ, მთრთოლვარე ხმა შემოესმა.

— კარგი ახლა, ფეხზე არ დაირტყა ეგ ძალაყინი, ხვალამდე მოვეშვათ ამ საქმეს, — ურჩია მოხუცმა.

— არა, არა, ბაბუა კარპეზ! — შეეხვეწა ბიჭი. — ახლავე ხელფარანს მოვიტან.

დასტურისათვის არც დაუცდია, ისე გავარდა და მალე დაბრუნდა თავისი განუყრელი ხოჭო-ფარნის ხრჭიალით. შუქი რამდენჯერმე შემოატარა ირგვლივ და სამუშაო ადგილის მონიშვნის შემდეგ ფარანი უბეში ჩაიდო. თვითონ ძალაყინი მოიმარჯვა, კარპეზმა — ბარი და საქმეს შეუდგნენ. სიბნელეში ისმოდა მათი ხვნეშა და გადალაპარაკება.

— ისევ ლოდი!

— ისევ!

— ძალიან ფართო და მაგარი ჩანს!

მუშაობით გართულ ბაჭუას არც შეუნიშნავს, როგორ მიაგდო კარპეზმა ბარი, მიწის ნაყარზე წამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— ვერ ხედავ, რომ არაფერი გამოდის?! — შემოესმა ბოლოს. — ეტყობა, ნამეტანი დიდი რაღაცაა, უსაშველო. მაგის მომრევი ჩვენ არა ვართ. გაანებე თავი!

ბიჭი ერთხანს უსიტყვოდ იდგა, შემდეგ კი, თითქოს გაგულისებულმა, ძალაყინი ორივე ხელით შემართა და მთელი ძალით დაჰკრა.

და ამ დროს მოხდა უცნაური რამ: რაღაცამ დაიგრუხუნა, მერე, თითქოს უხილავ ღერძზე ამოტრიალდაო, ლოდმა კუდი მოიქნია და წამით პირდაღებულმა ორმომ თვალის დახამხამებაში ჩაყლაპა ჩვენი ნორჩი არქეოლოგი.

თავზარდაცემული კარპეზი ფეხზე წამოვარდა.

— ბაჭუა, ბაბუ!.. ბიჭო, ბაჭუა, სადა ხარ, ხმა გამეცი! — არავინ რომ აღარ შეეპასუხა, ყვირილზე გადავიდა. — გვიშველეთ, გვიშველეთ!

— დიდუუ, კარპეზ! — გაისმა სადღაც ახლოს ანტისას წივილი და მალე ყოველი მხრიდან ატყდა:

— ვინ ყვირის?

— რა მოხდა?!

— რა ამბავია?!.

შემთხვევის ადგილას ცოტა ხანში მთელმა სოფელმა მოიყარა თავი.

●

ბურანისაგან ტკივილმა გამოაფხიზლა. მარცხენა მხარი ეწვოდა. წამოიწია თუ არა, აღმოხდა:

— ვაი, დედა!

ხელი მოისვა დაცვარულ შუბლზე. ნესტოებს წვავდა მქისე, მძიმედ დაგუბებული ჰაერი. სუნთქვა უჭირდა. ირგვლივ უკუნი გამეფებულიყო.

„სადა ვარ ნეტავ?“

ამუშავებულმა გონებამ თანდათან აღადგინა ის, რაც მოხდა. მაგრამ როდის მოხდა ყველაფერი ეს? ან, საერთოდ, სად იმყოფება? აფათურებული ხელი კედელს წამოედო, ცივსა და სლიპს. თითებით ჩაეჭიდა კედლის ღრმულს და წამოჯდომა სცადა. ტკივილმა კვლავ დაუარა ტანში, მაგრამ თავს ძალა დაატანა. ძალიან აწუხებდა ზურგში მიბჯენილი რაღაც მაგარი საგანი. როგორც იქნა, მისწვდა და სიხარულით წამოიყვირა:

— ფარანი!..

პატარა მექანიზმში დაბუდებული შუქი იმედივით მოეფინა წყვდიადით ამოვსებულ სივრცეს. მკრთალი შუქი აქეთ-იქით აწყდებოდა, მოუსვენრად დაბორიალებდა. მხოლოდ ჩაშავებული, ნესტმოკიდებული ყრუ კედლები...

როგორც იქნა, წამოდგა და ხელფარანი მეორე მხარეს მიანათა. თანდათან გამოიკვეთა კლდეში ჩაჭრილი კიბე. ხუთი საფეხური დათვალა, მაგრამ, ეტყობოდა, კიბე ზევით კიდევ გრძელდებოდა. გარკვევით ჩანდა უზარმაზარი მონოლითის სიმძიმით ჩამონგრეული საფეხურის ნა-

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 6.

წილი. შერყეულ-გადმოფერდებულ ჭერს გვერდითა კედელიც მოერყია. იგი ოთხკუთხა ქვის კვადრებით იყო ამოშენებული.

ორმო ოვალური ფორმისა აღმოჩნდა. კიბის მოპირდაპირე მხარე ახალი, ფხვიერი მიწით იყო ამოვსებული. ბაჭუა მიხვდა, რომ სწორედ ამ ადგილას ჩამოვარდა ზემოდან და თუ უვნებლად გადარჩა, ისევ ჩამოცვენილი რბილი მიწის მეოხებით. მაგრამ გადარჩა კი? სანამდე უნდა იჯდეს აქ, როგორ უნდა გააღწიოს აქედან?

— ჰე-ჰე! — ასძახა ჭერს, მაგრამ ხმა იქვე დატრიალდა და უხილავ ქვასავით ძირს ჩამოვარდა. ერთბაშად შიში დაეუფლა, მიხვდა: ხმას ვერავის მიაწვდენდა. კედელს ხელიააყოლა, ჩამოშვავებული მიწა ფეხით მიჩხრიკ-მოჩხრიკა. ფარანი ჭერის კუთხეს მიანათა. ნაპრალიც კი ვერსად შენიშნა. სასოწარკვეთილმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კინაღამ წაიქცა, რადგან ფეხი რაღაცას წამოსდო. ფარნის შუქმა მიწიდან ამოშვერილი ძალაყინის პრიალა წვეტი გაანათა. ამ აღმოჩენამ სიმხნევე დაუბრუნა — რაც უნდა იყოს, რაღაც იარაღი მაინც აქვს ხელთ, თუმცა ჯერ კიდევ არ იცის, როგორ გამოიყენოს იგი.

ძალაყინი გაჭირვებით ამოაძრო და კედელს გაჰყვა. კედელი პიტალო კლდისა იყო. ადამიანის ხელს აქა-იქ ჩამოეთალა, ჩამოესწორებინა. იგრძნო, რომ დარბაზის შუაში იდგა. ისევ აახრჭიალა ხელფარანი. შუქი ოქროსფერ კრაზანასავით გადაცოცდა კედლიდან იატაკზე და მოუსვენრად აწრიალდა. იატაკის შუაგული შემაღლებულს ჰგავდა. მაგრამ ეს არ იყო მიწის ნაყარი... პირველი, რაც ამ გროვიდან სინათლეს ამოეტაცა, თვლები გახლდათ, უფრო სწორად — სალტეები. ჩაცუცქდა და ხელი ფრთხილად გადაუსვა. ოქროსფერმა გაიბრწყინა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ეს თვლები ოდესღაც ეტლს დაამშვენებდნენ. მაგრამ რად უნდა შემოეტანათ იგი აქ! ბაჭუამ იცოდა, რომ უძველეს დროში ტომის ბელადს საომარ ეტლებთან ერთად ასაფლავებდნენ. თან ატანდნენ შესაფერის საჭურველსაც, ყოველდღიურად სახმარ ნივთებსაც... აი, ისინიც, ოდესღაც რაღაც კანონზომიერებით განლაგებულ-გაწესრიგებული, ახლა კი — თითქოსდა უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი! ხელფარნის შუქი თითქოს მოკრძალებით, ფრთხილად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე. აი, ოქროს დიდი საწყაული თუ სასმისი, პატიოსანი თვლებით დამშვენებული... გრძელი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროსტარიანი მახვილი... ბრინჯაოს შუბისთავები, ლამაზი ცულები... მახლობლად ერთმანეთზე მიწყობილი თიხის სხვადასხვა ჭურჭელი. ნეტავ რა არის შიგ?

ბაჭუამ იცის, ხელი ნაჩქარევად არაფერს არ უნდა ახლოს. ასეთია არქეოლოგთა წმინდა წესი. მაგრამ გულმა მაინც არ მოუთმინა და ერთი ცული მაინც აიღო. ბრინჯაოსაგან გამოკვერილი საომარი ცული იყო, ზედ ამოკვეთილი რიტუალური სცენებით. ზუსტად ისეთი, მუზეუმებში რომ უნახავს...

თვით ამ განძთა მპყრობელის ძვლები არ ჩანდა. არც იმ ბედაურისა, ბელადის ეტლს რომ დააქროლებდა. იქნებ, უძველესი წესის თანახმად, დაწვეს და მისი ფერფლი ამ შავ ამფორებში განისვენებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩენის სასიხარულო განცდა ოდნავ გახელდა თუ არა, კვლავ იმძლავრა შიშმა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა — ვაითუ მასაც აქ უწერია სიკვდილი და დაფერფვლა? ამის წარმოდგენამ ერთბაშად მოშალა და სასო წარკვეთა. უცბად, თავისთავისვე მოულოდნელად აყვირდა:

— მიშველეთ!..

ხმა მალე წაერთვა. გამშრალ ყელში ნერწყვს ძლივს აბრუნებდა. ჰაერი არ ყოფნიდა, მძიმედ და გახშირებულად სუნთქავდა. თვალებიც ეხუჭებოდა. დაღლილ-დაქანცულს ძილი თანდათან მიეძალა და მოცელილივით ჩაიკეცა.

— ყველაფერი გითხარით... ეს იყო და ეს! — უკვე მერამდენედ გაიმეორა კარპეზმა.



ხის ძირში მისვენებულ კაკანოს ქალები დასტრიალებდნენ თავს. ბოლოს კაკანომ, როგორც იქნა, თვალები გაახილა, უაზროდ მიიხედ-მოიხედა და კარპეზის დანახვისთანავე წამოიფოფრა:

— არ დაუჯეროთ მაგ სულწაწყმედილს, მაგას!.. მაგათ დალუპეს და დააქციეს ჩემი ოჯახი... სულ თვალში ვესობოდით მაგ უფსკეროებს და ამომაგდეს კიდეც... შვილო, ბაჭუა, ჩემო ერთადერთო, ჩემო იმედო...

ქალებს ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ ცრემლები, მამაკაცები თავჩაქინდრული იდგნენ.

— ტყუილუბრალოდ ცოდვაში რად მხვევთ! — უმწეოდ გაშალა ხელები კარპეზმა.

— სამტრო რა გვქონდა, — გაუბედავად დაუჭირა ქმარს მხარი ანტისამ.

უცებ ხალხი აჩოჩქოლდა:

— მოდიან, მოდიან!

ღია ჭიშკარს მილიციის მანქანა მოადგა.

— ე, ბიჭო, იროდი! — შეჰღაღადა მანქანიდან გადმოსულ მილიციელს საჩინომ. — იქნება შენ მიშველო რამე!

— ახლა მჭირდება, იროდია, შენი კაიკაცობა, — კვლავ გაახილა თვალები კაკანომ. — ხომ იცი, ჩემს ბაჭუას როგორ უყვარდი... დატრიალდი შენებურად, ამომიყვანე მიწიდან, დამისვი გვერდზე ჩემი შვილი, ჩემი ერთადერთი!

ვიდრე კაკანო მოთქმას დაამთავრებდა, იროდი თავჩაღუნული იდგა, შემდეგ თავის თანმხლებთან ერთად ამონათხართან მივიდა, ორმოს ჩააცქერდა და ხელი ნაბიჯებით გარს შემოუარა.

ხალხი მდუმარედ შესცქეროდა.

იროდიმ კარპეზს შეხედა.

— რა უბედურება ავიტეხე ეს, მე შავ დღეზე გაჩენილმა! — მკერდზე დაიბაგუნა მჯილი მოხუცმა. იროდიმ მკლავში ხელი გამოსდო და ოდისკენ გაიყოლია. მეორე მილიციელი მოშორებით მიყვა.

დროსთან კავშირი უკვე დაკარგა. სიცოცხლის ჩქამი არსაიდან ისმოდა. არც ზემოდან ჩანდა დახმარება. რა უნდა ეღონა მარტოს? ერთადერთი, რაც გარესამყაროსთან კიდევ აკავშირებდა უხილავი ძაფით, ჩამოშვავებული მიწა იყო: მას აქამდე შერჩენოდა ბალახის სურნელი. ბაჭუას ისევ მოერია ცრემლი.

ხვდებოდა, რომ კედლის მორყეულ ნაწილს არ უნდა შეხებოდა. ერთხელ უკვე შეშფოთებული მრავალტონიანი ჰერ-მონოლითის წონასწორობა ხელახლა რომ დაერღვია, შეიძლებოდა იგი სულაც ჩამოწოლილიყო და ბაჭუა მიწასთან გაესწორებინა. მკრთალი იმედი კვლავ და კვლავ კედლის გასწვრივ დაფარფატებდა. უცებ ბიჭის ყურადღება ქვევიდან მესამე მწკრივში ჩასმულმა შედარებით მომცრო ქვამ მიიპყრო. ბაჭუამ ძალაყინი მოიმარჯვა და მონიშნულ ქვას ფრთხილად მიარტყა. უფრო და უფრო ძლიერად მოუნაცვლა, თან ყური ჰქონდა დაცქვეტილი — ზევიდან ხომ არაფერი ჩამოიშალაო. არა, კენჭიც არ ჩამოვარდნილა! გულმოცემულმა მთელი ძალით აძგერა ძალაყინი და იგრძნო, რომ ქვა მოირყა. კიდევ რამდენიმე დარტყმის შემდეგ იგი გრიალით გადავარდა კედლის მიღმა და ძალაყინიც თან გადაიყოლია.

კედელში ასე მოულოდნელად და დამაიმედებლად გაჩენილ ხვრელს არსებითად არაფერი შეუცვლია: იგივე შავი სივრცე, მძიმე და დახშული ჰაერი... სული მოითქვა თუ არა, ხვრელში მკლავი გაჰყო. „ხოჭოს“ შუქი ერთბაშად შეისრუტა სიბნელემ. მაინც გაბედა და მკლავს თავიც მიაყოლა, შემდეგ მტკივანი მხარიც გაატია ძლივძლივობით. შუქი ხანჯალივით ეძგერა მრუმედ ჩადედებულ სივრცეს, მაგრამ უკუნმა უცებ წაასხიპა კუდი. დარბაზი დიდი უნდა ყოფილიყო. მისი შეუცნობელი იდუმალება შიშს ჰგვრიდა ბიჭს. ერთ ხანს ჩასვლას ვერ ბედავდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ხომ უნდა ეცადა! მოახერხა და რის ვაი-ვაგლახით გადაძვრა. კარგა [illegible]-ანად დაებერტყა ძირს. კიდევ კარგი, ძირს მაგარი და წვეტიანი არაფერი დახვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები რომ გაახილა, წყვდიადის შიში ხელახლა მოეძალა. ერთ ხანს გაუნძრევლად იწვა. მერე თავისი მხსნელი „ხოჭო“ მოიმარჯვა ისევ, მაგრამ ნაბიჯის გადადგმას მაინც ვერ ბედავდა, ასე ეგონა, ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცლებოდა. უცებ წრიპინი გაიგონა და თვალებთან რაღაცამ ჩაიშრიალა. ასე გამეორდა რამდენჯერმე... წრიპინი სხვა მხრიდანაც შემოესმა. შეშინებულმა ისევ ხელფარანი მოიშველია და სინათლის ვიწრო ზოლში წამით გაიელვა პატარა მფრინავმა არსებამ.

— ღამურა! — აღმოხდა გაკვირვებითა და სიხარულით. ამ სიხარულის მიზეზს ცოტა ხნის შემდეგ ჩაწვდა, როცა რამდენადმე დამშვიდდა: ცხადი იყო, თუ ღამურებს აქ დაუსადგურებიათ, სადღაც გასასვლელი არსებობს! ღამურებს ღია სივრცეები სჭირდებათ ღამის ნადირობისათვის. ბაჭუას ერთბაშად გული გაუთბა ამ არასიმპათიური არსების მიმართ, რომელიც რატომღაც პატარაობიდანვე ჰყავდა შეძულებული. ღამურების წრიპინი და ფრთების ქროლა ახლა ისე სიამოვნებდა, თითქოს საკუთარი ოდის აივანზე ბუდის ირგვლივ მოსრიალე-მოჭიკჭიკე მერცხლები დაენახოს.

არაქათგამოლეულმა ბაჭუამ სიმხნევე მოიკრიბა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. რაღაც უცნაური საგანი ნელნელა, ნაწილ-ნაწილ ამოცურდა სიბნელიდან. ჯერ ფასკუნჯის თავი და გაშლილი ფრთები გამოიკვეთა ოქროს დაუბინდავი ბრწყინვალებით, შემდეგ — შავ მონოლითზე გაწოლილი სირინოზი. ფასკუნჯს ქალის მკერდი ჰქონდა და ფარნის შუქზე მრისხანედ აბრიალებდა თვალების ადგილას ჩასმულ ძვირფას ქვებს, რომლებიც ხან წითლად, ხანაც მუქ მწვანედ კიაფობდნენ. ფართოდ დაღებულ პირში ოქროს ვაშლი ეულავდა. კვარცხლბეკის გარშემო ელაგა რკინისა და ბრინჯაოს საჭურველი: მახვილი, შუბისთავები და ცულები, ლითონის თხელი ფურცლებისაგან გაკეთებული სარტყლები და აბზინდები...

ორიენტაცია რომ არ დაეკარგა, ბაჭუა ისევ პირვანდელ ადგილს დაუბრუნდა და ახლა კედელს გაჰყვა. ქვის კვადრებით ამოყვანილი ნაცნობი კედლის გასწვრივ ჩარიგებული აღმოჩნდა ქვევრები და ლაგვანები, ამფორები და კოკურები. პიტალო კლდის კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა ნადირობის ამსახველი ნახატების ერთიანი ზოლი. ბაჭუამ გაარჩია მშვილდოსანი ცხენოსნები, რომლებიც ირმების ჯოგს მისდევდნენ. კედლის შუაგულში ცხენის ქანდაკება იდგა, მის უკან პატარა მღვიმე თუ გასასვლელი მოჩანდა.

მომდევნო კედელზეც სურათები ეხატა, მაგრამ მათი გარჩევა ბაჭუას გაუჭირდა, შუაგულში კედელს აქაც ნიშა ჰქონდა დატანებული, რომელიც ხარის ქანდაკებას დაეკავებინა.

მეოთხე კედელში შეჭრილ ნიშასთან ვერძის ქანდაკება იდგა. ნახატები აქ უფრო კარგად შენახულიყო. ერთ კომპოზიციაზე ნიჩბიანი ხომალდები მდინარეში მიცურავდნენ. გემბანზე ჩამწკრივებული ადამიანთა ფიგურები



თითქოს სუდარებში იყვნენ გახვეულნი... იქნებ ეს კომპოზიცია გამოხატავდა უძველეს რწმენას, მიწისქვეშეთში მიედინებიან მდინარეები, რომელთაც მიცვალებულთა სულები ხომალდებით ქვესკნელში გადაჰყავთო? ქართველთა შორეულ წინაპრებს ხომ შავი ვერძი ქვესკნელის მეგზურად მიაჩნდათ!

შიმშილმა, წყურვილმა და დაღლილობამ კვლავ თავისი გაიტანა. ძალაგამოლეული ბაჭუა ვერძის ქანდაკების ძირას მიწვა. ძილით წარტაცებულმა გონებამ მხოლოდ ერთი აზრი ჩაიხვია: „ეს საიდუმლო ჩემთან ერთად არ უნდა დაიმარხოს... უნდა გავაღწიო... როგორმე“...



ეროვნული ბიბლიოთეკა

...ბაჭუამ წიგნი დახურა და პროფესორს შეხედა.

— თქვენი ვარაუდი სავსებით დადასტურდა, პატივცემულო პროფესორო! — თქვა ამაყად.

— მაინც?

— თუბალთხევი, რომელზედაც მაშინ მოგახსენებდით, ეტყობა, მრავალ საიდუმლოს ინახავს... სწორედ იქიდან გეახელით. მაპატიეთ, რომ ასეთი დაგლეჯილი ტანსაცმლით გამოგეცხადეთ. აღმოჩენის სიხარული იმდენად დიდი იყო...

— აღმოჩენის?

— დიახ! თქვენი ვარაუდი დასტურდება... მე ვიპოვე იმ მითიური ხალხის წინამძღოლის აკლდამა — იგი დაკრძალულია ძვირფას სამხედრო ეტლთან ერთად... მსხვერპლად მიტანილი ცხენი ალბათ მისი საყვარელი ბედაურია.

— საინტერესოა, საინტერესო!

— სხვა ნივთებისათვის ხელი არ მიხლია... მიწიდან ჩანს ოქროს ფარის ნაწილიც, ზედ წარწერა შევნიშნე. ვფიქრობ, რაღაც უცხო დამწერლობასთან გვაქვს საქმე.

— ასეთი თამამი დასკვნებისაგან ჯერ თავი შევიკავოთ, ყმაწვილო! მეცნიერებას არ უყვარს აჩქარება... შემდეგ?..

— აკლდამაში აურაცხელი განძეულია. ერთადერთი, რაც თან დასტურად წამოვიღე, ბრინჯაოს ცულია. აი, ისიც!

უბიდან ამოღებული ცული პროფესორს გაუწოდა. იგი ყურადღებით დააკვირდა, ხელში შეატრიალა და ბოლოს ცულით ფანქრის წათლას შეუდგა.

ბაჭუას თვალწინ ბუმბულივით აცურდნენ ბურბუშელები...

მაინც, რა დრო შეიძლებოდა ყოფილიყო?!

შიმშილ-წყურვილის გრძნობა ნაწილობრივ განელებოდა. სიზმარმაც გაამხნევა თითქოს... დასუსტებული გონება ერთსა და იმავეს უტრიალებდა: საიდან შემოდიან აქ ლამურები? რატომ აქვს დატანებული კედლებს სამ ადგილას ნიშა? რატომ მაინცდამაინც მათს წინ დგანან ქანდაკებები, თანაც სხვადასხვა ცხოველებისა?

ყოველივე ამის ახსნას ვერ ახერხებდა, მაგრამ ქვეშეცნეულად იმას კი ხვდებოდა, რომ აქ, ამ დარბაზში, ყველა ნივთი და საგანი რაღაც გარკვეული კანონზომიერებით იყო განლაგებული და რაღაცას მიანიშნებდა. უნდა ეპოვნა თუნდაც ერთი საიდუმლოების გასაღები და მაშინ იდუმალების ყველა კარი ადვილად გაიხსნებოდა.

კარი!

ამ სიტყვას მისი გონება ჯიუტად ჩაეჭიდა.

სამი კარი თუ სამი გასასვლელი?.. საით გასასვლელი?! ამას აქამდე როგორ ვერ მიხვდა! ქართველთა შორეული წინაპრების წარმოდგენით შავი ვერძი ქვესკნელის ბინადარი იყო. იქნებ ის ნიშაც ქვესკნელის კარად ესახებოდათ ამ დარბაზის განძთა მპყრობელებს?.. მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება... გარდა ქვესკნელისა, ჩვენს წინა-

პართ სწამდათ შუა სკნელი და ზე სკნელი... სამი სკნელი!.. თუ ვერძი ქვესკნელის მაცნედ დაუყენებიათ, რისი მაქნისი არიან ხარი და ცხენი?! პირველი, ალბათ შუა სკნელს განასახიერებს, მეორე — ზესკნელს. განა ამ წარმოდგენას არ ავსებენ კედლებზე შესრულებული ნახატები? ასეა, ნამდვილად ასეა!

ბაჭუამ ხელფარანი მოიმარჯვა და იმ კედელს მიაშურა, სადაც ხარის ქანდაკება ეგულებოდა. უკვე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სამზეოზე სწორედ აქედან გააღწევდა. ეგონა გავრბივარო, სინამდვილეში კი ძლივს მილასლასებდა. იმ ნიშასთან რომ მივიდა, ჩაიჩოქა და ამაყად კისერშემართულ ხარს ფეხებში გაუძვრა. სუნთქვაშეკრული შეხოხდა ნიშის სიღრმეში და წუთით მის კედელთან მიწვა სულის მოსაბრუნებლად. შემდეგ ნელ-ნელა ააყოლ-ჩამოაყოლა ხელი და ქვათა ნაწიბურები შეიგრძნო. ახლაღა გაახსენდა სადღაც მიგდებული ძალაყინი, მაგრამ მისი ძებნის თავი აღარ ჰქონდა. სულწასულად აათათურა ხელები იატაკზე და ბოლოს ქვის მოზრდილი ნახეთქი მოიძია. დაწვდა და კედელს წაუშინა. მან ყრუ, დახშული ხმა გამოსცა. სხვაგანაც მოსინჯა, იქაც იგივე განმეორდა. და თითქმის რომ გადაეწურა იმედი, კედელმა ერთგან სხვაგვარი, უფრო მრეკავი ხმა გამოსცა.

ფარანი უბეში შეინახა, ქვას ორივე ხელი ჩასჭიდა და კედელს მთელი ძალით დასცხო. იგი გაცილებით უფრო ადვილად მოირღვა და თითქოს შორეული მქრქალი სინათლის ჭიატი შეიგრძნეს თვალის გუგებმა. ეს ჯერ არ იყო სინათლე, უფრო მისი შეგრძნება იყო. უეცარმა სიხარულმა გონება დაუბნელა და ძალმიხდილი დაგორდა ქვემოთ.

●

პნევმატური ჩაქუჩი ჯერ რბილად წავიდა მიწაში, მერე ხრჭიალით აძიგძიგდა.

— აქაც ლოდია! — მუშამ ჩაქუჩს ადგილი მოუნაცვლა.

მეორეგანაც იგივე განმეორდა, მესამეგანაც.

— არაფერი გამოდის, არჩილ! — მუშამ ჩაქუჩი მიწაზე დააგდო.

— ასედაც ვიცოდი! — თქვა კომბინეზონიანმა კაცმა.

— იქნებ ბულდოზერი გვეთხოვა ჰიდრომშენებლებისაგან? — სცადა გამოსავლის პოვნა იროდიმ.

— მიშველეთ რამე, თქვენი ჭირიმე! — შეეაჯა საჩინო ინჟინერს.

— ვერაფერს გახდება. — მიუგო არჩილმა, — მე ხომ ვიცი: სულ ტინებით აგებული პლატოა, უამრავი წკვარამითა და მღვიმით.

— დავიჯერო, ასეთი კლდე ძალაყინის ერთმა ღარტყმამ შეარყია? — დაეჭვდა იროდი.

— სწორედ ეგ მეეჭვება! აქ სულ სხვა რაღაცაა! — მიუგო დაფიქრებულმა არჩილმა.

— მოხუცი დაბეჯითებით ამტკიცებს: ლოდი თვითმცლელის ძარასავით აყირავდა და დაეშვაო, — ჩაერია საუბარში ვიღაც ახალგაზრდა.

— იქნებ რაღაც საიდუმლო მექანიზმია? — ხმამაღლა გაიფიქრა ლადო მასწავლებელმა.

— მექანიზმი?! — თავი უნდობლად გადააქნია ინჟინერმა. — რა ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

— აბა, დავღუპულვარ და ეგაა! — ამოიგმინა გაფითრებულმა საჩინომ.

— იქნებ აგვეფეთქებინა! — ახალი წინადადება წამოაყენა იროდიმ.

— არ შეიძლება. სულ ჩაწვება. თუ ცოცხალია, მაინც... — არჩილმა ენაზე იკბინა.

— ასეა, აბა, ჩემი საქმე?! — ხელები ჩამოუცვივდა საჩინოს.

●

სმენას შორეული მონოტონური წკაპუნი ჩასწვდა. ასეთ ხმას წყლის წვეთები გამოსცემენ. ბაჭუამ ერთბაშად იგრძნო გულის გაძლიერებული ბაგუნი და საფეთქლებთან სისხლი მოაწვა. შორეული გუგუნის ხმაც მოსწვდა თითქოს. ეს ხმები ვიწრო ხვრელიდან აღწევდა.

ბაჭუა ხვრელში შეძვრა და ფორთხვა-ფორთხვით ორიოდე მეტრი გაიარა. სლიპი ნაღვენთების წვეტიანი შვერილები ტანსაცმელზე ეჭიდებოდნენ. მალე სახეზე ცივი და სუფთა ჰაერის სუსტი ჭავლი მოელამუნა. გულმოცემულმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და, როგორც იქნა, თავი დააღწია ხვრელს.

უკვე თავისუფლად სუნთქავდა, თუმცა მაშინვე სიცივემ აიტანა. უფსკრულიდან მომქროლავ ნიავს ახლა უფრო გარკვევით მოჰქონდა წყლის წვეთების ხმა, სადღაც თითქოს ნაკადულიც ლიკლიკებდა. უცებ მოულოდნელი ზათქი გაისმა და საიდანღაც მოწყვეტილმა ლოდმა სულ ახლოს ჩაუქროლა გრიალ-გრიალით. სიბნელეში კარგა ხანს ისმოდა წვრილი და მსხვილი ნამსხვრევების გრუხუნი, ლაწალუწი და რაკუნი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ხმაური მიწყნარდა, ქვემოთ ჩაინაცვლა და ფარანი აანთო. მის თვალწინ ერთბაშად ზღაპრული დარბაზი გაჩირაღდნდა. სუსტმა სინათლემაც კი არაჩვეულებრივად აელვარა კედლები. უხილავ ხელებს ამ კედლებზე თითქოს ბრილიანტის თვლებისაგან აკინძული ოცნების ყვავილები მიმოებნია. ჭერიდან ფერადი ლოლუებივით ჩამოშვერილ სტალაქტიტებს თეთრად მოქათქათე ხელებს აშველებდნენ მიწიდან ამოზრდილი ტანწერწეტა სტალაგმიტები. დარბაზის ფსკერზე დახვავებულ ვეებერთელა ლოდებსაც კი დასდებოდათ ჯადოსნური შუქი. სადღაც მდინარე თუ ჩანჩქერი ჩქრიალებდა და, მცირე მღვიმეებსა და ნაპრალებში ორღანის ხმებივით გაძლიერებული, მთელ დარბაზს ფანტასტიკური მუსიკით ავსებდა.

წყლის ხმაური სიმხნევეს მატებდა ბაჭუას. იგი ხვდებოდა, რომ მიწის ზედაპირიდან ჩამოსული და კლდემღვიმეების მაგარ ფილტვებში გაფილტრული წყალი ისევ ღია სივრცისაკენ ისწრაფვოდა.

შემდეგი დარბაზი მრგვალი და გაცილებით მცირე გამოდგა, თუმცა სილამაზე და იდუმალება არც მას აკლდა. მის კედლებში შეღრმავებული ნიშები ძაფივით წვრილი სტალაქტიტებით იყო დახუნძლული. ისინი იმდენად სათუთნი იყვნენ, რომ წარამარა წკარუნით ცვიოდნენ ზემოდან, თითქოს ფარნის შუქმა შეაკრთოო. მათ ნაყურს დარბაზის შუაგულში პატარა ცისფერი ტბა დაეგუბებინა, რომელსაც კიდეებზე ყინულის ქერქის მსგავსი ნაქში შემოვლებოდა. ტბიდან პატარა ნაკადული გამოდიოდა და თავქვე მიედინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჭუა ვიწროებს რომ მიადგა, მიწის გულიდან თიხის სიყვითლემაც გამოყონა. სტალაქტიტები უკვე იშვიათად, აქა-იქლა ეკიდა. მიწა კი თანდათან ლიპი ხდებოდა, ბიჭს წარამარა უსხლტებოდა ფეხი. ამ დაუსრულებელ ლაბირინთში რაღაც სხვა, მკრთალი და თბილი შუქი აღწევდა თითქოს. ხელფარანს სულ უფრო იშვიათად ანთებდა.

გრძლად გაწოლილი გვირაბი, რომელშიც ბაჭუა მიფორთხავდა, თითქმის ერთიანად წყლით იყო დაფარული.

ბოლოს გვირაბი იმდენად დავიწროვდა, რომ ბაჭუას პირდაპირ წყალში მოუხდა ოთხზე ფორთხვა, ჯიუტად მიიწევდა წინ ტანსაცმელშემოფლეთილი, დაღლილ-დაქანცული, სიცივით აძაგძაგებული, მაგრამ სიმხნევემომატებული.

წყალსაც ძალა მომატებოდა, ბორგავდა, ჩუხჩუხებდა, მღეროდა. ეს იყო თავისუფლების იდუმალი, მზის მაცოცხლებელი სინათლისათვის აღვლენილი სიმღერა, რომელიც ბაჭუას ახლა ცხადად, გარკვევით ესმოდა.

მოსახვევთან წამით თითქოს ცის პატარა ნაჭერმაც გაიკრიალა და ბაჭუას სახეში ნაცნობმა სურნელოვანმა სიომ შემოუბერა.

ეს თუბალთხევის სიო იყო.

**იოსებ აფციაური**

•

ვერ იცი, მზეო, სიცილი,
ჩემმა რომ იცის დედამა,
ზღვაში ჩაძირა სიკვდილი
მის ერთმა შემოხედვამა.

ტყეში დაღლილო ნიავო,
ნუკრის თვალივით კეთილო,
ვერ გისწავლია ალერსი,
ჩემმა რომ იცის დედილომ.

მარგალიტებით მოქარგეს
მდელო ღამემ და დილამა,
ვინ მოჰქსოვს, მე რომ ჩამაცვა
წინდები ჩემ დედილამა?

შავი შაშვი და ბულბული
იტყვიან ლექსებს ლამაზად,
სად ნახავთ ისეთ მგალობელს,
დედა რომ არი, აბა სად?

დედაშვილობის გამჩენო,
ვარდი რომ ნამში ვნახეო,
სიცოცხლე დედაჩემისა
იმ ყოფით შემინახეო!

### ცხვარში

ცხვარში ვარ, დილის ნიავი
დედის ალერსის დარია,

მეხთან სალამურს ვალექსებ,
ლექსმა ცას ხელი დარია.

მამის ნაბდის ქვეშ ავდარი
ჩემთვის მზეა და დარია...

არწივსაც დავიძმობილებ,
მგლის ლეკვებს ვავლევ ფარაში.

ცხვარს სულ არ ავყრი გრილოდან,
სანამ მთა ნისლებს არ აშლის.

### პიონერის სიმღერა

მზეს ისეთი გავეზარდო,
სიზმარში რომ დედამ მნახა,
ცისპირ გაკრულ ირემს ვწვეოდე,
ვარსკვლავებთან დამასახლა.

კახაბერის ხმალნატეხი
წმინდა ფიცით გავამთელო,
გულის კოვზზე დავიხატო
ჩემი დედა-საქართველო.

ჩემს ყელსახვევს დაჰკრას ქარმა,
იმ დიდ დროშის ნაკალთარმა,
პურის ლუკმა მექცეს არმად,
თუ გიმტყუნო გულმართალმა.

•

მიმაცილებენ ღიმილით
თმადავარცხნილი სერები,
ტყე-ტყე მაქროლე, ნიავო,
მზეო, ნუ ჩაესვენები!

გალმა ყაყაჩო გაშლილა,
ნამიან კაბას მაშურებს,
წყალო, ნუ აუდიდდები,
ცაო, ხორხოშა აშორე!

ნუკრმა მაცეკვა მდელოზე,
დადგა და მითხრა ლექსები,
ტყვიავ, ნუ გაუვარდები,
მეხო, ნუ დაეკვესები!

ფრთა დამაბერტყა ხოხობმა
ლამაზი, ლამაზცვრიანი,
ვეცოცხლო საქართველოს და
მეცოცხლოს ლალის ციალით.

გიუი ქიქინაძე

მხატვარი
ედ. ამბოკაძე

# ქალალდის ჩიტი

პიესა-ზღაპარი
(ორ ნაწილად)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედი პირნი:
ქალის ხელები
ვაჟის ხელები
ქალალდის ჩიტი
ქვასროლია ხელები

| | |
|---|---|
| ციყვი<br>ზღარბი<br>ცურდღელი | მუყაოსაგან<br>გამოჭრილი<br>ცხოველები |

## ნაწილი I

თეჯირი; მის მიღმა თოვლისფერი ქაღალდია გაკრული.

მაყურებლის წინ გამოჩნდება ქალ-ვაჟის მარცხენა და მარჯვენა ხელები.

**მარჯვენა**
სსუ! სიჩუმე!
**მარცხენა**
იყოს სმენა!
გვსურს დავიწყოთ
წარმოდგენა!
**მარჯვენა**
უცნაური წარმოდგენა!
**მარცხენა**
უჩვეულო წარმოდგენა!
**მარჯვენა**
ჩვენ მშრომელი ხელები ვართ...
**მარცხენა**
ჩვენ მარცხენა!
**მარჯვენა**
ჩვენ მარჯვენა!
**მარცხენა**
გვთხოვეთ, რაც გსურთ, აგისრულებთ.
**მარჯვენა**
ყველაფერი გვემარჯვება!
**ვაჟის ხელები**
გინდათ, სახლებს აგიშენებთ!
**ქალის ხელები**
ბაღჩა-ბაღებს გაგიშენებთ!
ავაყვავებთ ყამირ მიწებს,
უდაბნოებს გავალვიძებთ.
**ვაჟის ხელები**
გზებს გავიყვანთ, გავდებთ
ხიდებს,
ნისლს გავფანტავთ კიდით კიდე,
იმდენ ნობათს გაგიმზადებთ,
ალბათ ვერც კი წარმოიდგენთ.
**ქალის ხელები**
მოგიხატავთ ლამაზ ზღაპრებს,
გამოგიჭრით შარვალს, კაბებს.
წესიერ და გამრჯე ბავშვებს
გაგართობთ და გათამაშებთ.
**ჩიტი**
(თეჯირის წინ გდია, თავზე ნეშო აქვს წაფარებული).
როგორც ვატყობ, მარტო ამათ
აუსრულებ გულის წადილს.
მე კი ალბათ მომკლავს დარდი —
აგერ მთელი კვირა გადის,
თავს მახურავს ნეშო ჰადრის,
სველ მიწაზე ვგდივარ მარტო,
მცივა საწყალს, თანაც მათოვს...
**ქალ-ვაჟის ხელები**
(აქეთ-იქით ამოუდგებიან)
ეს ვინ არის?!
**ჩიტი**
ვერ მცნობთ, არა?!
თუმცა სულმთლად ნეშო
მფარავს...
ნიავქარი თოვლის ფიფქებს
თავზე მაყრის წარამარა.
(ქალის ხელები ჩიტს ფრთხილად მოაშორებენ ნეშოს)
იქნებ არც მთვლით ცნობის
ღირსად,
ჩიტუნა ვარ ქაღალდისა.
ერთმა ბიჭმა ამას წინათ
გამომჭრა და გამაფრინა.
ფრთების გაშლა და ცის ნახვა
სულ ცოტა ხანს მერგო წილად.
მერე... მერე ძირს დავეშვი,
ვერ გავუძელ ქარს და ყინვას...
**ქალის ხელები**
ჩუ, ნუ ტირი, პაწაწინავ!
**ვაჟის ხელები**
ჩვენ მოგივლით, არ გაგწირავთ!
**ქალის ხელები**
ამ ბავშვებთან ერთად ახლა
ისეთ რამეს მოვიგონებთ...
**ვაჟის ხელები**
მეცხრე ცაზე ასაფრენად
კვლავ შეგმატებთ ფრთებში
ღონეს.
**ჩიტი**
ეჰ, მაშინაც ასე მითხრეს,
მეცხრე ცაზე აგაფრენთო,
რადგან ნამდვილ ჩიტად ქცევა
მე ოცნებად მქონდა ერთ დროს...
(ცივი ქარი უბერავს. ქაღალდის ჩიტი ცახცახებს)
**ქალის ხელები**
თუმცა თოვლი უკვე გაღღვა,
აღარ ვარგა საგუნდაოდ,
ჩიტუნიას მაინც სცივა...
**ვაჟის ხელები**
მცივანას კი რა უნდაო?
**ქალის ხელები**
თბილი ბუდე!
**ვაჟის ხელები**
მზის სხივები!
**ქალის ხელები**
შუქი ცის და მადლი მიწის...
**ვაჟის ხელები**
და ისეთი მეგობარი,
ვინც სიკეთის ფასი იცის.
ამ სიტყვებთან ერთად ხელები თეჯირს მიღმა თეთრ ქაღალდზე ხან მზეს მიახატავენ, ხან ბაღჩა-ბაღს აშენებენ, მუყაოსაგან ხეებსა და ყვავილებს ჭრიან და დგამენ. ერთ ხეზე ბუდესაც შემოდებენ.
**ქალ-ვაჟის ხელები**
(ჩიტს უმღერიან და ბუდეში სვამენ).
ჩიტო, ჩაჯექ ბუდეშიო!
**ჩიტი**
რა კეთილი ხელები ხართ,
ფრთა შეასხით ჩემს ნაზ ფიქრებს,
გული ისე მიფანცქალებს,
თითქოს ნამდვილ ჩიტად ვიქეც.



**ქალის ხელები**
ახლა, ჩიტო, ვიდრე წავალთ,
აგისრულებთ ლამაზ ნატვრას.
**ვაჟის ხელები**
ამ ბაღს, რომ არ მოიწყინო,
ათასფერად მოგიხატავთ.
**ქალის ხელები**
*(საღებავები და ფუნჯი აქვთ მომარჯვებული და ბავშვებს მიმართავენ)*
მე მგონია, მიხვდებით,
მზეს რა ფერი შეჰფერის?
**ხმები**
ყვითელი!
**ვაჟის ხელები**
ღრუბლის ქულებს, ბავშვებო,
მთის კალთებზე შეფენილს?
**ხმები**
თეთრი!
**ქალის ხელები**
არაფერი გვეთქმის.

**ვაჟის ხელები**
აბა, რა მოუხდება ზეცას?
**ქალის ხელები**
ღია ლურჯი!
**ვაჟის ხელები**
გავამზადოთ ფუნჯი!
*(ცას ლურჯად აფერადებს, მცენარეებს კი — ნაირფერად).*
ტყეს — მწვანედ და ყვავილნარს
— ჭრელაჭრულად ვმოსავთ.
*(ბაღჩა-ბაღის გაფერადებას ამთავრებენ)*
**ქალის ხელები**
გაუმარჯოს ჩვენს ბაღში
გაზაფხულის მოსვლას!
**ხმები**
გაუმარჯოს! გაუმარჯოს!
ვაშა გამრჯე ხელებს!
**ჩიტი**
ძლიერ გამახარეთ,
ძლიერ ამაღელვეთ!
აღარ ვიცი, უთქვენოდ
აწი როგორ გავძლებ?!
**ქალ-ვაჟის ხელები**
მუყაოსგან ახლავე
გამოგიჭრით და-ძმებს.
*(მაკრატელს მოიმარჯვებენ და საქმიანობენ).*
**ქალის ხელები**
ეს ციყვია!
**ვაჟის ხელები**
ეს კურდღელი!
**ქალის ხელები**
ეს კი ზღარბი ეკალბარდა!
**ერთად**
ამ ბაღჩაში დაბადება,
შეხეთ, როგორ გაუხარდათ!
**ჩიტი**
ისევ ფრთას ვშლი ძველებურად.
გაზაფხულის შუქით სავსე.
ამიათანა სილამაზე
არ იქნება მეცხრე ცაზე...
*ქალალდის ჩიტს ხელები ისე ამოძრავებენ, თითქოს აქეთ-იქით დააფრენენ.*
**ციყვი**
ხედავ, როგორ გაალაღეს!
**კურდღელი**
რა იქნება, ჩვენც მოგვხედონ!
**ზღარბი**
ეჰ, ამიათვის გამოგვჭერით,
აქ რომ ვეგდოთ უმოქმედოდ?!
*უეცრად შორიდან ძლიერი სტვენა მოისმა.*
**ქალ-ვაჟის ხელები**
*(ქაღალდის ჩიტი თითებში შეეყინათ).*
უჰ, ასეთი საზარი ხმა
არ გვსმენია ამის მეტად.
**ჩიტი**
უპატრონოდ რომ მიმაგდო,
ის ბიჭუნაც ასე სტვენდა.
*ბაღის სიღრმეში შურდულიანი ხელები გამოჩნდებიან.*
**ციყვი**
ჩქარა, ჩქარა, მოგვეშველეთ!
**ზღარბი**
გაერიდეთ ბოროტ ხელებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა
**ციყვი**
ვიდრე კენჭებს [illegible]
**კურდღელი**
ვიდრე ყურებს დაგვახევენ!
**ჩიტი**
გევედრებით, შემსვით ხეზე,
თორემ შიშით მიმდის გული!
**ვაჟის ხელები**
*(წინ გადაუდგებიან შურდულიან ხელებს)*
აქ რა გინდათ, რას დაეძებთ?!
**ქალის ხელები**
ან რად გინდათ ეგ შურდული?
**ქვახროლიები**
სანადიროდ მივიჩქარით
და თან მიგვაქვს იარაღიც.
ჩვენ ნეტავი რაში გვიწდა
ეს ქაღალდის ბაღჩა-ბაღი!
ვერ გავიგეთ, რა გაშინებთ
და საჩხუბრად რისთვის
გვიტევთ?
იმ ხევგალმა გვსურს გავიდეთ,
იქ დავხოცავთ ნამდვილ ჩიტებს.
*(ხეებს მიეფარებიან)*
**ჩიტი**
გაიგონეთ, რა ხალისით
იჩქარიან სანადიროდ?
**ქალ-ვაჟის ხელები**
აბა, მალე წინ გავვარდეთ
და ჩიტები გავაფრთხილოთ!
*(ქვასროლიებს აედევნებიან)*
**ზღარბი**
სულ ჩიტებზე ფიქრობენ და
ჩვენ ჩირადაც არვინ გვაგდებს...
**ციყვი**
ამ ქაღალდის ბაღჩა-ბაღში
ნეტავ რისთვის დავიბადეთ!
**კურდღელი**
უჰ, რა კარგი იქნებოდა,
ჩვენც გვეხტუნა ერთი წამით.
**ჩიტი**
გული ისე დამიმძიმდა,
დარდისაგან გავქრე ლამის...
**ციყვი**
წვიმა მოდის!
**ზღარბი**
ესლა გვაკლდა!
**ჩიტი**
დაგვალბობს და დაგვასველებს!
**კურდღელი**
ჩქარა, ერთად ვუხმოთ ხელებს!
**ერთად**
ჰე, ხელებო, მოგვეშველეთ!
მოგვეშველეთ! მოგვეშველეთ!
**ჩიტი**
ჩუ, ნუ ჰყივით, რა მოხდება,
ჩვენ თუ წვიმამ დაგვასველა,
იმ ბოროტი ხელებისგან
ნამდვილ ჩიტებს უნდა შველა.

## მეორე ნაწილი

*წვიმს. ქაღალდის ჩიტსა და მის მუყაოს მეგობრებს თავზე აფარიათ შავი ქოლგა, რომელიც კეთილ ხელებს მოუტანიათ.*

**ვაჟის ხელები**
დააკვირდით წვიმის წვეთებს,
სხივი დაჰკრავთ ოქროსფერი.

**ქალის ხელები**
ის თუ გესმით, მეგობრებო,
ჩვენი ქოლგა როგორ მღერის?

**ციყვი**
როგორ არა!

**ზღარბი**
გვესმის, გვესმის!

**კურდღელი**
გალობს მართლაც საამურად.

**ზღარბი**
საამურად გვეჩვენება,
რადგან ქოლგა თავს გვახურავს,
თორემ ისე გაგვწუწავდა,
იხარებდა ჩვენი მტერი!

**ჩიტი**
მერე ყველას იმ ბნელ ხევში
ჩაგვიტანდა წვიმის ჩქერი.
(წვიმამ ნელ-ნელა გადაიღო)

**ქალ-ვაჟის ხელები**
ჩვენ ამ ქოლგას შინ მივიტანთ
და სულ მალე დავბრუნდებით.
(ქოლგა გააქვთ)

**ზღარბი**
ეგ ლამაზი ქოლგა ნეტავ
აქ გვქონოდა გამუდმებით...

**ჩიტი**
როგორც იქნა, გადიკარა!

**კურდღელი**
უჰ, რა თავსხმა იყო მართლაც!

**ციყვი**
საცოდავი კვიპაროსი!

**ჩიტი**
ვაი, ეს რა დაემართა?!

**ციყვი**
წვიმას წელში მოუხრია!

**კურდღელი**
მთლად წასულია საწყალს ფერიც.

**ზღარბი**
ყვავილებიც დაძენძილან.

**ჩიტი**
რტოც არ დაგვრჩა დასაფრენი!
(გამოჩნდებიან სალებავებითა და ფუნჯით შეიარაღებული ხელები)

**ქალ-ვაჟის ხელები**
ჩუ, ნუ ტირით! რა გაწუხებთ?
წინანდელზე უფრო მარდად
ამ ბაღჩაში ათასფერად
ხეს და ყვავილს წამოვმართავთ.
ქალ-ვაჟის ხელები წვიმის მიერ გადაშლილ ფერებს აახლებენ, ბაღში მუყაოსაგან ახლად გამოჭრილ ხეებსა და ყვავილებს დგამენ.

**ვაჟის ხელები**
თვალჟუჟუნა ივნისის თვე
ვიცით, ძლიერ გიყვართ ყველას.

**ქალის ხელები**
ცას რა შვენის წვიმის შემდეგ?

**ხმები**
ცისარტყელა!

**ვაჟის ხელები**
ცისარტყელა!
ჰოდა, აი, ცისარტყელაც
მივახატოთ ამ ლურჯ ცაზე.
(ხატავს ცისარტყელას)

**ქალის ხელები**
მარჯნისფერი მარწყვით სავსე
მწვანე მოლი მოხასხასე.
(მოლზე მარწყვს მიახატავს)

**ვაჟის ხელები**
გვირილებით დადაფნული
წვიმებს გაჰყვა გაზაფხული.

**ქალის ხელები**
ახლა ბაღში დგას ზაფხული.

**ციყვი**
მე იმ ხეზე შემასკუპეთ,
მსურს ვუცქირო წითელ
ვაშლებს.

და ვიდრე ძირს დაეშ[illegible]
ყველამ ერთად დავ[illegible]
აბა, ტაში! ტაში! ტაში!

მეორდება ძლიერი სტვენა და თეჯირზე შურდულიანი ხელები გამოჩნდებიან.

**ქალ-ვაჟის ხელები**
(ქვასროლიებს გადაელობებიან)
არ გაბედოთ, არ ესროლოთ!
ქვასროლიები მაინც ასწრებენ შურდულის მოქნევას. ქალალდის ჩიტი ფარფატით ეცემა ძირს.

**ჩიტი**
ეს ყოფილა ჩემი ბოლო...

**ქალ-ვაჟის ხელები**
არ გრცხვენიათ? ეს რა ჰქენით?!

**ზღარბი**
ხედავთ, უკვე სულს ლევს
სტვენით! —



**ზღარბი**

**კურდღელი**
ჩვენ ზურმუხტის მოლზე
დაგვსვით,
ყვავილებთან ვითამაშებთ.
ქალ-ვაჟის ხელები ციყვს ხეზე შემოსვამენ, ზღარბსა და კურდღელს კი — მწვანედ აბიბინებულ კორდზე.

**ქალ-ვაჟის ხელები**
კარგად ვიცით, კურდღელო,
ბოსტნეული რომ მოგწონს.
გვითხარ, რა დაგიხატოთ?

**კურდღელი**
სტაფილო და კომბოსტო!
ხელები კურდღლის წინ სტაფილოსა და კომბოსტოს მიახატავენ.

**ვაჟის ხელები**
ამ ქაღალდის ჩიტუნას კი
კვლავ ავაფრენთ მაღლა ცაში.

**ქალის ხელები**
(ჩიტს ნაზად აიყვანენ და ეფერებიან)
ის ქვა მოხვდა, როგორც ტყვია,
და ფრთა სულმთლად მოახია...

**ვაჟის ხელები**
გატყობთ, ქვების სროლის მეტი
არაფერი თქვენ არ იცით!

**ქვასროლიები**
კარგი ერთი, ქაღალდის ჩიტს,
თუ გსურთ, ათასს გამოგიჭრით.

**ქალის ხელები**
რად ვერ ხვდებით, ახლა თქვენი
დანახვაც კი აღარ გვინდა!

**ვაჟის ხელები**
ეგ შურდული აქ მოგვეცით
და მოუსვით ამ ბაღიდან!



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქვასროლიები**

თუ ასეა, რა სჯობს, იცით?
აი, აქვე, ბავშვების წინ
გამოვიდეთ თითო-თითო
და ერთმანეთს შევეჭიდოთ!

**ქალის ხელები**

ვინც თქვენს შორის გაიმარჯვებს,
ეგ შურდულიც იმას დარჩეს.

ქვასროლიები შურდულს მოიხსნიან და გამრჯე ხელებს შეეტოქებიან მკლავის ძალაში. გამრჯე ხელები იმარჯვებენ. დამარცხებული ქვასროლიები შურდულს ტოვებენ და ბალიდან მიდიან. გახარებული ციყვი, კურდღელი და ზღარბი გაჰყვირიან:

გაუმარჯოს გამრჯე ხელებს,
კეთილ ხელებს, ლამაზ ხელებს,
შრომაში რომ გვასახელეს
და ბრძოლაშიც გვასახელეს!

**ქალ-ვაჟის ხელები**

ახლა ზედმეტ ფიქრს და წუხილს
ის არა სჯობს, პატარებო,
ქაღალდის ჩიტს ახალი ფრთა
გამოვუჭრათ საგანგებოდ?

**ციყვი**
**კურდღელი**
**ზღარბი**

მართალია,
როგორ არ სჯობს!

**ვაჟის ხელები**

აბა, ისევ მოვიმარჯვოთ
ქაღალდი და მაკრატელი!

(სწრაფად გამოჭრეს ჩიტის ცალი ფრთა)

**ქალის ხელები**

აჰა, წებოც! რაღას ელი?

(ქაღალდის ჩიტს მოხეული ფრთის ნაცვლად ახალი მიაწებეს)

**ქალის ხელები**

ყურადღება! დროა, ყველამ
ქაღალდის ჩიტს ქათქათელას
დავულოცოთ ლურჯი სივრცე...

**ვაჟის ხელები**

და რომ ნამდვილ ჩიტად იქცეს,
ეს სიტყვებიც შემოვძახოთ:

**ერთად**

ჩიტო, გვრიტო, ალხო, მალხო,
გვინდა მეცხრე ცაზე გნახოთ!

ამ სიტყვებს მუყაოს ცხოველებთან ერთად ბავშვებიც იმეორებენ.

**ქალის ხელები**

რადგან გინდათ, ამ ჩვენს ზღაპარს
და ოცნებად ქცეულ სურვილს
მართლა ჰქონდეს უჩვეულო
და კეთილი დასასრული,
მაშ ბავშვებო, ქაღალდის ჩიტს
შეუბერეთ ყველამ სული!

ბავშვები ჩიტს სულს უბერავენ. ჩიტი ნელნელა ამოძრავდება და გაფრინდება.

**ვაჟის ხელები**

ჯადოსნური გული რომ გაქვთ
და ხართ ძალზე კეთილები,
მეგობრებო, ალბათ ხვდებით,
თქვენ შეასხით ამ ჩიტს ფრთები.



# ჩვენ სემიონოველები ვართ



გიორგი სიხარულაშვილი თანატოლ ნორჩ მეხანძრეებს აცნობს ცეცხლსაქრობის აგებულებას და გამოყენებას.

თემურ ცაგარელი

ფოტო ავტორისა

ამ სამიოდე წლის წინ რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილემ სამეურნეო ნაწილში ოლია ამირანაშვილმა პიონერებს მოუთხრო ვალოდია სემიონოვის საგმირო საქმეზე. პატარა ვალოდიამ საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და მძვინვარე ხანძრისაგან იხსნა საკოლმეურნეო დოვლათი — ალმოკიდებულ თავლას ათობით ცხენი გამოსტაცა! ასეთი თავგანწირვისათვის გმირი პიონერი ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოეს. შემდეგ დეიდა ოლიამ თბილის-რუსთავის გზაზე მომხდარი ამბავი მოიგონა — ერთმა ონავარმა თივით დატვირთულ ავტომანქანას ალმოდებული ასანთი რომ ესროლა და საქონლის საკვები სულ რამდენიმე წუთში ცეცხლმა გაანადგურა.

რუსთაველმა პიონერებმა ეს ორი ამბავი ერთმანეთს შეადარეს და ხერიოზულად ჩაფიქრდნენ. „არა, ჩვენ ვალოდია სემიონოვის კვალს გავყვებით, ვიბრძოლებთ ხანძრის წინააღმდეგ, დავიცავთ სახალხო დოვლათს და მოსახლეობას ცეცხლის სტიქიისაგან!“ — თქვეს პიონერ-მოსწავლეებმა და ამ მიზნით სკოლაში ნორჩ მეხანძრეთა რაზმეული ჩამოაყალიბეს. რაზმეულში ოცდათორმეტი მოხალისე გაერთიანდა, მათ სათავეში ჩაუდგა მერვეკლასელი გიორგი სიხარულაშვილი. რაზმეული მუშაობას შეუდგა. დეიდა ოლიას დახმარებით ნორჩი მეხანძრეები გულდასმით გაეცნენ 1918 წლის 17 აპრილის ლენინურ დეკრეტს „ცეცხლთან ბრძოლის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ორგანიზაციის შესახებ“, გაიაზრეს მისი ისტორიული მნიშვნელობა. და, ბოლოს, თავიანთი თეორიული მეცადინეობანი იმ თემების მიხედვით წა

რმართეს, რომლებიც „საქართველოს სსრ ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების (ნმსრ) დებულებასა და პროგრამაშია" მოცემული.

ერთ-ერთ მორიგ მეცადინეობაზე გადაწყდა ეთხოვათ საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისათვის, რომ რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის ნმსრ-ს ვალოდია სემიონოვის სახელი მინიჭებოდა. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა რაზმეულის თხოვნა და დღეს ნორჩი რუსთაველი მეხანძრეები სიამაყით ამბობენ: — ჩვენ სემიონოველები ვართ!

რაზმეულის ყველა წევრს სამზირი უბანი აქვს მიჩნეული. მაია და მანანა ალავიძეები შემტყობინებლები არიან. თუ ისინი თავიანთ უბანში ხანძრის კერას შენიშნავენ, მაშინვე უნდა დაურეკონ მეხანძრეებს. ზაზა ბოლქვაძე ყურადღებით ამოწმებს ცეცხლსაქრობის გამართულობას, ხოლო ზაზა ბატიაშვილი სახანძრო საგუშაგოთა ქვიშის ყუთებს აკონტროლებს — ხომ არ დაიტკეპნა ან ხომ არ გაიფანტა ქვიშა რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზით. თამარ გელოვანი და თინა გეგია სისტემატურად ამოწმებენ სკოლის შიდა ელექტროგაყვანილობას.

ყველა ნორჩ მეხანძრეს აქვს დღიური, რომელშიც სისტემატურად აღნიშნავს მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს. აი, რას წერს თავის დღიურში თინა გეგია:

„1982 წლის მარტში შევამოწმეთ ჩვენი სამზირის ოთხი ოჯახის ბინა. ჯერ სადარბაზოში აღმოვაჩინეთ ელექტროგაყვანილობის უწესივრობა, შემდეგ ერთ ბინაში ვნახეთ გაზქურის თავზე გაშრობის მიზნით გაფენილი სარეცხი, იქვე კი იზოლაციაშემომწვარი სადენით ჩართული მაცივარი ძაგძაგებდა. როცა ბინის პატრონს ყოველივე ამაზე მივუთითეთ, იუკადრისა, თქვენს საქმეს მიხედეთო... რომ დაეჯერებინათ, კარგი იქნებოდა, — ხანძარი არ გაუჩნდებოდათ".

— იმ დღეს ჩვენს უბანს ვამოწმებდით, — გაიხსენა თამრიკო გელოვანმა. — შევიარეთ ერთი მოხუცი ქალის ბინაში და თავზარი დაგვეცა: მობინადრეს გათბობის მიზნით გაზქურა ჩაერთო და ახლოს მიმჯდარიყო, საბრალოს თურმე გაზის სუნმა თავბრუ დაახვია და ქურაზე პირქვე დამხობილი ვნახეთ. ცოტაც და, ალი უსათუოდ მოედებოდა ტანსაცმელს... ჩვენ რომ არ მივგვესწრო, უბედურება დატრიალდებოდა.

— ახალი წლის წინა დღეები იყო, — ჩაერია საუბარში ნანა მუმლაძე. — ჩვეულებრივად ვამოწმებდით ჩვენს უბანს. შევედით ერთ მობინადრესთან. შევნიშნეთ, რომ ზედა სართულიდან ჩამოსულ წყალს მთლად დაესველებინა კედელი და ელექტროგაყვანილობაც დაეზიანებინა. იქმნებოდა მოკლე ჩართვის საშიშროება. როცა მივუთითეთ, აბუჩად აგვიგდეს, სიცილი დაგვაყარეს — ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო. მერე გავიგეთ, რომ იმ ოჯახში მართლა გაჩნდა ხანძარი და მობინადრენი შინ რომ არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა სახლს.

ნორჩი მეხანძრეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს — კინოს, კლუბს, თეატრს... ერთხელ ასეთი რამ მოხდა: კინოთეატრის ფოიეში მოხულიგნო ახალგაზრდები უტიფრად აბოლებდნენ თამბაქოს და ჩაუმქრალ ნამწვავებს იქვე, იატაკზე ჰყრიდნენ დაუდევრად. მეხანძრე კი აბა რა მეხანძრეა, თუ ასეთ ფაქტს გულგრილად ჩაუვლის! ჰოდა, თამბაქოსმწეველ ახალგაზრდებს ზრდილობიანად მიუთითეს: ნამწვავებს იატაკზე ნუ ჰყრით[illegible], თამბაქო სამისოდ გამოყოფილ ადგილას გააბოლეთო.



ნორჩ მეხანძრეთა საქმიანობა მარტო ასეთი გაფრთხილებებით და მითითებებით არ განისაზღვრება. მათ თავიანთი სკოლის დერეფნებსა და სპეციალურად გამოყოფილ ნორჩ მეხანძრეთა ოთახში გამოფენილი აქვთ ხანძარსაწინააღმდეგო გამაფრთხილებელი პლაკატები და სურათები. ისინი მნახველებს ზუსტად მიუთითებენ ხანძრის გაჩენის სხვადასხვა მიზეზებზე: უყურადღებოდ მიტოვებულ უთოზე, უწესივრო ელექტროდამცველებზე, ასანთით მოთამაშე ბავშვებზე, იატაკის მოსაპრიალებელი საცხის ქურაზე გაცხელებაზე და ა. შ. ასეთსავე პლაკატებს ნორჩი მეხანძრეები ავრცელებენ თავიანთ სამზირ უბნებში, ეზოებში, სადარბაზოებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში; ატარებენ სახანძრო-პროფილაქტიკურ და მასობრივ განმარტებით მუშაობას, სწავლობენ და თავიანთ თანატოლებს ასწავლიან, თუ ხანძრის დროს სად გამოიყენონ წყალი, სად — სილა, მიწა და სად — გადასაფარებელი, როდის იხმარონ ქაფიანი და ნახშირორჟანგიანი ცეცხლსაქრობები. ერთი სიტყვით, აკეთებენ ყველაფერ იმას, რასაც ნამდვილი, გამოცდილი მეხანძრეები აკეთებენ.

მიმდინარე სასწავლო წელს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაცხადა საუკეთესო ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების რესპუბლიკური კონკურსი. სხვებთან ერთად ამ კონკურსში რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის ნორჩმა მეხანძრეებმაც მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს, პრეზიდიუმის სიგელი და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურეს.

ამჟამად მიმდინარეობს საკავშირო კონკურსი დევიზით — „ნორჩ მოხალისე მეხანძრეთა რაზმეულების საკავშირო დაზვერვა". უეჭველია, რუსთაველი პიონერები აქაც იტყვიან თავიანთ სათქმელს და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწევენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო, ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!




ჩვენი სტუმარია
ლატვიის სსრ
საბავშვო ჟურნალი
„დრაუგს"
(„მეგობარი")

## ტყეში სიმღერის ზეიმია

შავ ფრაკში გამოეწყო გაზაფხული,
ხუჭუჭა თმები ლამაზად
გადაივარცხნა. —
ტყეში სიმღერის ზეიმი იწყება.
მუსიკოსები თავთავიანთ
ადგილზე მოკალათებულან:
კოდალა დოლს უბაგუნებს,
ფუტკარი არფის სიმებს აჟღერებს,
შაშვს ყელი მოუღერებია და
სამღერლად ემზადება.
აი, დასწვდა გაზაფხული
დირიჟორის ჯოხს,
მაღლა აღმართა ხელები,
გაისუსნენ სუყველანი.
წამიც და ახმიანდება სიმფონია,
გაზაფხულის პირველი სიმფონია.

მოდრის ლუიანსი,
რიგის მე-7 საშუალო სკოლა.

## ზღარბი

ვიხსენებ, როგორ შევხვდი პირველად ზღარბს და ფიქრით იმ ზაფხულს ვუბრუნდები, ჩემს სკოლაში წასვლას რომ უძღვოდა წინ. დედამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ადრეულ ბავშვობასთან ჩემი დამშვიდობება დასამახსოვრებელი ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, ახლაც კი, როცა იმ ზაფხულს ვიხსენებ, ასე მგონია, ყველაფერს ფერადი მუშის ნატეხში ვუჭვრეტ-მეთქი.

დედამ შვებულება აიღო და ჩვენ სოფელში გავემგზავრეთ. მე ჩასვლისთანავე დავტრიალდი, გავიკითხე, რა და რა ცხოველები ცხოვრობდნენ იმ არემარეზე, ვის შეიძლებოდა, რომ მოვფერებოდი, დავმეგობრებოდი. რამდენიმე დღეში მე უკვე შინაურ ცხოველებს ვაჭმევდი, კატასთან ერთად ვსლაპავდი რძის ნალებს, მშვილდ-ისრით შეიარაღებული ძაღლებთან ერთად დავდიოდი ტყეში. გარდა ამისა, ყოველდღე მეზობელთან მიწევდა სიარული რძის მოსატანად. იქ კი ცხენიც ჰყავდათ, ძროხაც, ხბოც, ცხვარიც, ბაჭიებიც, შინაური ფრინველიც. ერთი ბებერი მონაცრისფრო ბატიც დაბაჯბაჯებდა ამაყად, რომელიც ყველა ძაღლზე უკეთ დარაჯობდა ეზო-კარს. მეზობლიანთ ჭრელი კრუხიც ჰყავდათ, და ერთხელაც რომ მივედი, მეზობლის ქალმა მითხრა, სადაც არის წიწილებს გამოჩეკავსო. დავჯექი და ვიცდი. რამდენიმე საათმა გაიარა და მოვარდა გულგახეთქილი დედაჩემი, მხედავს, რომ ვზივარ ბუჩქის ძირას და წიწილების გამოჩეკის მოლოდინში კრუხს მივჩერებივარ, რძე კი მზეზე დგას და მჟავდება.

ასე გადიოდა ხალისიანი დღეები, მე მდინარეში ვბანაობდი, ჟოლოს ვაგროვებდი, ვერთობოდი, ვთამაშობდი. ზღარბს კი ვერა და ვერ შევხვდი, თუმცა ყოველ საღამოს პატარა ჯამით რძეს ვუდგამდი ბუჩქებში, რადგანაც მითხრეს, რომ სწორედ აქ ენახათ ზღარბების მთელი ოჯახი — დედა ზღარბი სამი შვილით. გული მწყდებოდა, ვაითუ ზღარბის უნახავად მომიწიოს სახლში დაბრუნება-მეთქი...

და, აი, ერთ მშვენიერ დღეს... მე ლოგინში ვიწექი, როდესაც დედამ პირსახოცში შეხვეული რაღაც უცნაური, მოყავისფრო-ნაცრისფერი, ეკლიანი, გაბრაზებული, ფრუტუნა არსება მომიყვანა. დედა ძილის წინ ხელ-პირის დასაბანად რომ გასულიყო, იქ ენახა ზღარბი. პატარა, გაბრაზებული და ეკალაყრილი ცხოველი არავითარ ინტერესს არ იჩენდა ჩემს მიმართ. მე მაშინვე წამოვხტი ლოგინიდან და ცხვირწინ ნუგბარი სასუსნავ-საკნატუნო რამერუმეები დავუწყე. ზღარბს მალე მოუბრუნდა გული, ეკლები დამალა და შავი ეშმაკი თვალები და ცხვირი გამოაჩინა. ცოტა ხანს კიდევ იფიქრა, მერე რძიან ჯამს მიუახლოვდა და რძის სლაპვას მოჰყვა. მეტი ზღარბს არაფერი უჭამია. მოგვიანებით დედამ ის ისევ იქ წაიყვანა, სადაც იპოვა, ჭასთან, და გაუშვა. იმ ღამეს ცუდად მეძინა, სულ იმის ფიქრში ვიყავი, რა იქნება, მე თვითონვე რომ შემხვდებოდეს ზღარბი-მეთქი. ბედმა გამიღიმა. როგორც კი მოსაღამოვდა, რძიან ჯამთან ეკლიანი გორგალი მოგორდა და უშიშრად შეუდგა საქმეს, მე სულგანაბული მივჩერებოდი ზღარბს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი ასე, მინდოდა, რომ ზღარბს გაუთავებლად ეჭამა და ეჭამა, მე კი ასე მეცქირა მისთვის. მაგრამ, ეტყობა, შევინძერი, რადგანაც ცხოველი დაფრთხა და ფეხებშუა გამირბინა. საღამოთი, როდესაც მე და დედა სასეირნოდ გამოვედით, მესამეჯერ შევხვდი ზღარბს. ეტყობოდა, ნადირობით კმაყოფილი იყო, არხის ნაპირ-ნაპირ მისუნსულებდა და ისევე ხმამაღლა ფრუტუნებდა, ვერც კი წარმომედგინა, რომ ასეთ პატარა ცხოველს ასეთი ხმაური შეეძლო.

მე ბედნიერი ვიყავი და ვიგრძენი, რომ ახლა გულდამშვიდებით შემეძლო რიგაში დაბრუნება.

ვ. გალაკროდზინიექსი,
ქ. რიგის 73-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა საქსე

# ალუბალი

(წიგნიდან „ყვავილნარის ზღაპრები")

ერთ ქვეყანაში ერთი მებაღე ცხოვრობდა. ამ მებაღეს ვაჟი ჰყავდა, სახელად ალუბალი. ზის ერთხელაც ალუბალი ღობის ძირას და მამის ბაღს ყარაულობს. უეცრად ხედავს, მთების გადაღმიდან ჩრდილოეთის ბოროტი ქარი — ქარბორბალა გამოჩნდა. მოდის, მოანგრევს ყველაფერს, ცა და მიწა მოაქვს. აღარც ხეს ინდობს, აღარც ყვავილს. თოშავს,ამტვრევს, ქვას ქვაზე არ ტოვებს. შეწუხდა მებაღის შვილი: რა ვუყო, რით გადავარჩინო ხეხილიო? თოფი იმას არ ჰქონდა და ზარბაზანი მოსაგერიებლად, ადგა და ქვები დაუშინა, სულ ღორღით ამოუვსო თმა-წვერი ქარბორბალას.

— დახე ამ ცინგლიანს, რაებს მიბედავსო!? — გაცოფდა ქარი და დასაჭერად გამოენთო. მირბის მებაღის შვილი, მისდევს ქარბორბალა, აღარ ეშვება, ის იყო ქეჩოში უნდა ეტაცნა ხელი, რომ დაუსხლტა ალუბალი და იქვე, თხუნელას სოროში შერგო თავი. ამან სულ გადარია ქარბორბალა, ფეხით შედგა სოროს, მიანგრმოანგრია და საწყალი ბიჭი მიწაში ცოცხლად ჩამარხა.

— ეგეც შენაო, დაიქადნე, მანდედან რომ გამოხვიდეო! — ჩაიცინა ბოროტად და გზა განაგრძო, ახლა სხვა მხარეების მოსაოხრებლად გაეშურა.

გაიგო მებაღემ შვილის დაღუპვის ამბავი, შემოირტყა თავში ხელი, მაგრამ რაღას იზამდა. ყოველდღე დადის მებაღე საფლავზე და ტირის. ერთ მშვენიერ დღესაც, იმ ადგილას, სადაც ქარბორბალამ ბიჭი ჩამარხა, პატარა ხე დახვდა ამოსული. მებაღემ ხეს ალუბალი დაარქვა. ზრდის, უვლის, თავს ევლება, თვალის ჩინივით უფრთხილდება.

ენაჭარტალა ბეღურებმა მთელ ქვეყანას მოსდეს: ალუბლის ხე მებაღის შვილი ყოფილა, ქარბორბალას კი ჰგონია, სამუდამოდ დავასამარე ბიჭიო. ყვავებმა ალუბლის ამბავი ბოროტ ქარს მიუტანეს. ქარბორბალამ დაიფიცა: მივალ და იმ ხეს ძირიანად მოვთხრი, თქვენ ოღონდ მასწავლეთ თვალტანად როგორიაო. ერთი უფერული, ნაცარა ნერგიაო, უთხრეს ყვავებმა, იმ ბიჭს რა ფერის პერანგიც ეცვა, ისეთიო.

ყვავების მაბეზღარობას მესკიები შეესწრნენ. დაფაცურდნენ, არიქა, ქარბორბალა მოდისო! — გადასძახგადმოსძახეს ერთმანეთს, მერე მოსალოდნელი უბედურების ამბავი მებაღის ყურამდეც მიიტანეს.

მებაღემ ალუბალს თეთრი ზეწრით შეუფუთნა რტოები. მოვარდა ქარბორბალა, ეძება ნაცრისფერი ნერგი, ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა, გაბრუნდა ყვავებზე გულმოსული.

სანამ ის გაარკვევდა, ალუბლის ხე უკვე ნაცრისფერი კი არა, თეთრი რომ იყო, მესკოებმა ისევ მოასწრეს მებაღის გაფრთხილება. მამამ თვალის დახამხამებაში გადააძრო თეთრი ზეწარი ხეს და მწვანე ლაბადა წამოასხა.

მოვარდა ქარბორბალა, მიიხედმოიხედა, თეთრი ნერგი ვერსად დაინახა, გატრიალდა გაცეცხლებული, ყვავებს ეცა, გალანძღა, აგინა, დაემუქრა: ნისკარტებს დაგაძრობთ, კიდევ თუ მომატყუეთო.

მაგრამ ვერ მიართვეს! მაინც ტყუილის თქმა გამოუვიდათ ყვავებს და მაინც. ვიდრე ქარბორბალა წინ და უკან დარბოდა, მებაღემ ალუბლის მწვანე მოსასხამს უამრავი ვარდისფერი ღილი დააკერა.

შემოდგომაზე ყვითელ პერანგს გადააცმევდა ხოლმე, ზამთარში — ჯერ ნაცრისფერს და მერე თეთრს. გადარჩა ალუბლის ხე, ვერაფერი დააკლო ქარბორბალამ.

როგორა ხარ ჩემო ბიჭო ხომ არაფერი გიჭირსო? — გაზაფხულობით მიაკითხავს ხოლმე მებაღე შვილს, დაკოჟრილი თითებით ეფერება. ეალერსება. ესმის მამის ხმა ალუბალს, თავს დაბლა ხრის, ტოტებს შეატოკებს და ახლად გამოფეთქილი კვირტებით ელამუნება მოხუცის ჭაღარას.

თარგმნა შადიმან შამანაძემ

„ვარავიკსნე („ცისარტყელა") — ახე ჰქვია მდინარე გაუას ნაპირზე განლაგებულ ბანაკს, რომელშიც ყოველ ზაფხულს ისვენებენ ლატვიის ნორჩი მხატვრები. გარდა დასვენებისა, ხატვის ნიჭით დაჯილდოებული გოგო-ბიჭები ბევრს მუშაობენ, ხატავენ, ძერწავენ, ილრმავებენ და იმდიდრებენ ცოდნას.

გთავაზობთ ვარავიკსნელთა რამდენიმე ნამუშევარს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რესპუბლიკის პიონერული ამბები

●

აგერ უკვე ორი ათეული წელია, რაც დაუგავპილსის რაიონის სოფელ ზემგალის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა არსებობს. გადის წლები, იცვლებიან ბრიგადის წევრები, შრომითი ტრადიციები კი უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას.



გასულ ზაფხულს ზემგალელთა შრომითმა ბრიგადამ საუკეთესო მაჩვენებლებისათვის პრიზი — ტრაქტორი მიიღო. ეს მათ მიერ მიღებული რიგით მეოთხე ტრაქტორია, ასე რომ, ახლა სკოლას საკუთარი სატრაქტორო პარკი გააჩნია. მოსწავლეთა ზრუნვის სფერო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. ბრიგადის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გოგო-ბიჭები სამუშაოთა მთელ ციკლს ატარებენ, თესვიდან დაწყებული, მოსავლის აღებით დამთავრებული. გასულ ზაფხულს ზემგალელმა გოგონებმა მეცხოველეთა სპეციალური რგოლი ჩამოაყალიბეს. ამან საგრძნობლად გააიოლა ფერმის მწველავებისათვის შვებულების მიცემის საქმე, ახლა, როცა ფერმაში ასეთი მარჯვე მეცხოველეები გამოჩდნენ, ნებისმიერ მწველავს გულდამშვიდებით შეუძლია ისარგებლოს კუთვნილი დასვენების დღეებით.

●

ვიდუჩის რვაწლიანი სკოლის საწარმოო ბრიგადამ თავისი კვლევითი სამუშაოებით გაითქვა სახელი. ამგვარი ბრიგადების მიერ დამუშავებული იმ 30 თემიდან, რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს სოფლის მეურნეობაში, სამი ამ სკოლაში დამუშავებული. ორი ვიდუჩელი მოსწავლე საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლით დაჯილდოვდა, ელიტა სმუშკა კი მალე საქართველოს ეწვევა, იგი ქართველმა მეგობრებმა კარტოფილის მოყვანის გამოცდილების გასაზიარებლად მოიწვიეს.

ბრიგადის წევრებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს რა გავლენას ახდენს „მარიელას" ჯიშის კარტოფილზე მიკი ღერო-ფოჩის ადრიანი შემოთიბვა. მათი მცდელობით გამოირკვა, რომ ეს საგრძნობლად ამცირებს კარტოფილის ავადობას. ნორჩ ვიდუჩელთა სხვა გამოკვლევებიდან უნდა აღინიშნოს პარკოსნებზე ნიტროგენის ზემოქმედების შემოწმება და ჭარხალზე მასტიმულირებელი ბაქტერიების ზემოქმედების შესწავლა.

გასულ გაზაფხულზე მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტმა ვიდუჩელთა სასკოლო ბრიგადას კიტრის 20 ჯიში გამოუგზავნა თხოვნით, გამოეცადათ მათი გემოვანი თვისებები და გამძლეობა, აგრეთვე მათი დაკონსერვებისა და დამწნილების შესაძლებლობები.

●

ლატვიელი მოსწავლეები კარგა ხანია მისდევენ მებოცვრეობას. განსაკუთრებით იყოჩაღეს გოგო-ბიჭებმა გასულ ზაფხულს. სხვებზე უკეთ იშრომეს მადონის რაიონის ნორჩმა მებოცვრეებმა. 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლემ ივარ ოზოლინმა ასი ბოცვრის გამოზრდა-ჩაბარება იკისრა და კიდევაც შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ბოცვრების გამოზრდისა და მოვლის საუკეთესო გამოცდილება დააგროვეს კალნციემის საშუალო სკოლის გოგო-ბიჭებმა. აქ ნამდვილი ფერმაა მოწყობილი. ბოცვრები აქ გალიებში როდი ჰყაეთ დამწყვდეული, ისინი ღია ცის ქვეშ დანავარდობენ, მზესა და წვიმას კი ბავშვების მიერ მოწყობილ ჩალით დახურულ თავშესაფრებში ემალებიან. ხოლო ზამთრობით მიწაში გათხრილ სოროებს აფარებენ თავს.

●

სიმღერის დღესასწაული საბჭოთა ლატვიაში პირველად 1948 წელს ჩატარდა, მასში, გარდა მომღერლებისა, მოცეკვავეებიც მონაწილეობდნენ და ამან დღესასწაულს მეტი ხალისი და სილამაზე შეჰმატა. იმ დღიდან მოყოლებული სიმღერისა და ცეკვის ამგვარი სახალხო დღესასწაულები რეგულარულად ტარდება. ტრადიციულად დღესასწაულები ათასობით მოცეკვავეს უყრის ხოლმე თავს. მათში ერთნაირი ხალისით მონაწილეობენ ნორჩე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბიც და მხცოვანი ადამიანებიც. ზეიმის დღეებში ქ. რიგის „დინამოს“ სტადიონზე ტევა არ არის ხოლმე. ულევ ნაკადად მოდიან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავეები, მოდიან მაყურებლები. იწყება ზეიმი და სტადიონის მწვანე მოედანზე ერთმანეთს ცვლიან თვითმოქმედი კოლექტივები. მათგან საუკეთესოებს მინიჭებული აქვთ „ცეკვის სახალხო ანსამბლის“ საპატიო წოდება. დღეისათვის რესპუბლიკაში ას ორმოცდაათამდე ასეთი კოლექტივია.

სახელი გაითქვეს ცეკვის ნორჩმა მოყვარულებმაც. ლატვიაში დღეს ბავშვთა ოთხი სახალხო ანსამბლია — „ძინტარინში“, „უგუნტინია“, „ვადუგუნისი“ და „ზელტა სიეტინში“. პატარები დიდი რუდუნებით ინახავენ და წარმატებით აგრძელებენ უფროს თაობათა ტრადიციებს.

# გვიყვარდეს პური

დიდედაჩემი პურს დიდ სოფლურ ღუმელში აცხობს, ისევე როგორც ყველა ჩვენი ლატვიელი გლეხის ქალი. იგი ჯერ ჯამში ფქვილს ჩაჰყრის, ცხელ წყალს დაასხამს და საფუარს დაუმატებს, მერე ორი საათით ცომს ჯამში დატოვებს. შემდეგ კი უკვე აფუებულ ცომს დაუმატებს ფქვილს, ძვლიავს და ცოტაოდენ შაქარს. დიდედა ფრთხილად ზელავს ცომს, თითქოს ეფერებაო, ცოტა წყალსაც დაუმატებს, ააგუნდავებს და უკვე მზა კოკორს ღუმელში „შესვამს“. ერთი საათის შემდეგ კი გამომცხვარ, დაბრაწულ პურს ღუმელიდან გამოიღებს, ცოტა წყალს დაასხურებს და ტილოს გადააფარებს, ქერქი რომ ძალიან არ გამაგრდეს.

რამდენჯერ ყოფილა, რომ ჩვენ პურის ნატეხებს ვესვრით ერთმანეთს, ან გარეთ ვაგდებთ. გამოდის, რომ ჩვენ სხვის შრომას პატივს არ ვცემთ. ადრე არც მე დავფიქრებულვარ პურზე, ალბათ იმიტომ, რომ ყოველდღე მაგიდაზე მზამზარეულ პურს ვხედავდი. ახლა კი პურის დანახვაზე მე მუდამ თვალწინ მიდგება მხვნელ-მთესველთა, პურის მცხობელთა მძიმე შრომა. პურის სიყვარული და პატივისცემა დიდედამ ჩამინერგა. დიდედა ჯერ თავის შვილებს ასწავლიდა, ახლა კი შვილიშვილებს გვასწავლის მოწიწებით მოვეპყრათ პურს. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, იგივეს ვასწავლით ჩვენს ამხანაგებსა და მეგობრებს.

ლ. ქესტოვსკა,
ქ. რიგის 49-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.

# სკოლის ფიჭვებთან

ჭალარა სკოლის ნაცნობ ფიჭვებთან
გადავეხვევით ერთმანეთს
ხვალ-ზეგ,
უკან დაგვრჩება ბავშვობის წლები,
გაგვაცილებენ ცხოვრების გზაზე.

ჯერ ისევ მოჩანს წყვილი ყვავილი
ნაცნობ ფიჭვებთან, გზისპირ,
სილაში.
დაუვიწყარ და ძვირფას სახელებს
კვლავ იმეორებს გული სინაზით.

ცხოვრების გრძელი გზა და სავალი
ვინ იცის, ვისთვის რას გაიმეტებს,
მაგრამ სკოლასთან მდგარი
ფიჭვები
კვლავ გვინერგავენ ნათელ იმედებს.

ლიგიტა ვიტოლინა,
სუნის რვაწლიანი სკოლა.





# მხატვარი

ართურ კლარკი

— მომიყვანეთ სპარსელი! — ბრძანა კალიდასამ.

გზა ფრესკებიდან სპილოს ძვლის ტახტამდე ფრიალო კლდეს მიუყვებოდა, თუმცა მისი გავლა აღარ იყო საშიში, რადგან ორსავ მხარეს ზღუდე აღემართათ. მაგრამ მეფე დაღლილი იყო. კიდევ რამდენ ხანს უნდა ევლო ამ ფრიალოზე საკუთარი ფეხით? მონები აიყვანდნენ, მაგრამ მეფეს განა ეკადრებოდა სხვისი ხელით ტარება?! თანაც მისი სასახლე ახლა ტინის თავზე იყო აღმართული, ცასა სწვდებოდა თავი მისი და მეფეს ფიქრიც არ სურდა იმაზე, რომ მის ას ქალღმერთსა და ას მშვენიერ მხევალს უცხო თვალი დაინახავდა.

ახლა კალიდასას სასახლეში მიმავალ ერთადერთ გზას — ამ საოცარ ციურ კიბეს გუშაგთა რაზმი იცავდა. ათი წლის შრომამ ფრთა შეასხა მის ოცნებას. რაც უნდა ელაყბათ მეშურნე ქურუმებს, კალიდასა ახლა ღმერთი იყო.

ტაბრობანის მზის ქვეშ გატარებული მრავალი წლის ჯაფის მიუხედავად, ოსტატი ფირდაზი მაინც ისევ ისეთი თეთრი იყო, როგორც რომაელი. დღეს კი მეფის ფერხთით დამხობილი მხატვარი ჩვეულებრივზე უფრო თეთრადაც გამოიყურებოდა. კალიდასამ დიდხანს უყურა და კმაყოფილებით გაუღიმა:

— შენ ჩინებულად აღასრულე შენი საქმე, სპარსელო. არის ქვეყნად მხატვარი, რომელიც ამას შენზე უკეთ გააკეთებდა?

— არ მეგულება ასეთი კაცი, თქვენო უდიდებულესობავ.

— გასამრჯელო ხომ არ გეცოტავა?

— სავსებით საკმარისია, მეფეო.

ეს პასუხი ვერ იყო მთლად სწორი. ფირდაზი უსასრულოდ ბევრს ითხოვდა. ითხოვდა ფულს, თანაშემწეებს, უცხო მასალას, შორეული ქვეყნებიდან შემოზიდულს. მაგრამ მხატვრისაგან ნაკლებად მოსალოდნელია მომჭირნეობა, ისედაც ზღაპრული ხარჯების გათვალისწინება. მის ხელოვნებას ხარჯები ესაჭიროებოდა და ისიც ითხოვდა შეუზღუდავად.

ახლა კი მეფე საბოლოო პასუხს ელოდა:

— დღეს რაღას ითხოვ, როცა სამუშაო უკვე დასრულდა?

— მეფეო, მე მინდა ჩემს ისფაჰანში დავბრუნდე.

კალიდასას გუმანმა არ უმტყუნა. ინანა, ასეთი რამ რად შევთავაზეო. სპარსეთის გზაზე მრავალი სხვა მბრძანებელიც ეგულებოდა. დახარბდებოდნენ და ხელიდან არ გაუშვებდნენ ასეთ მხატვარს. კალიდასას კი არ უნდოდა, მის კლდეზე დამკვიდრებულ ქალღმერთებს ქვეყნად ტოლი ჰყოლოდათ სადმე.

— ეს ეგრე უბრალო საქმე არ არის, — თქვა მეფემ.

ფირდაზი წელში უფრო მოიხარა და ფერი დაკარგა. მეფე თავის სიტყვებს არ განმარტავდა, მაგრამ ახლა ერთი მხატვარი ელაპარაკებოდა მეორეს:

— შენ დამეხმარე, ღმერთად მაქციე. ეს ამბავი მრავალ ქვეყანაში იციან. როცა ჩემი ქვეყნის საზღვრებს გასცდები, ამასვე მოგთხოვენ სხვებიც.

მხატვარი ერთ ხანს დუმდა. შემ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჩითახევი

ელენე დიდიმამიშვილი

გამარჯობა, ტკბილო სამცხევ,
ჩემო მიწავ ხვავიანო,
შენს ველებზე ყვავილები
ერთნი ათად ჰყვავიანო!
მოველ, შენი ხილვის ნატვრით
ღამე გამითენებია...

ყაყაჩოებს ყანებიდან
ყელი მოუღერებიათ.
ჰეი, ჩემო განუყრელო
აკაციის ხეივანო,
ქვევით ხევი მესიტყვება —
შენი ჩითახევი ვარო...
აქ ხომ ზეცის ვარსკვლავებად
ჩამომსხდარან ნათურები,
შრიალებენ ალვის ხენი,

მუდამ ფიქრით გართულები.
ირგვლივ ფიჭვის სურნელია,
ნაკადულთა ჩქერებია,
წინ — გაშლილი მზის დარია,
გვირილების სერებია.
ცაო, ცაო მშობლიურო,
გიმზერ ლაჟვარდთვალებიანს,
შენი ფერი, შენი ღიმი
აკვნით შემიყვარებია!

დეგ წყნარად თქვა — კალიდასამ ძლივს გაარჩია მისი სიტყვები:

— მაშ, უნდა დავრჩე?

— შეგიძლია წახვიდე და თან წაიღო საჩუქარი, რაც მთელს შენს სიცოცხლეში გეყოფა. მაგრამ მომეცი სიტყვა, რომ სხვებისათვის აღარაფერს დახატავ და არ გამოაქანდაკებ.

— ამას გპირდები, — სწრაფად მიუგო მხატვარმა.

კალიდასამ თავი ნაღვლიანად გააქნია.





მე არ ვენდობი მხატვრებს, მეტადრე მაშინ, როცა ჩემს საბრძანებელში აღარ არიან. ამიტომ შენი დაპირების შემოწმება დამჭირდება.

ჩანდა, ფირდაზმა რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

— მესმის, — თქვა, წელში გასწორდა, მბრძანებელს ზურგი აქცია და პირდაპირ მოჩახჩახე მზეს გაუსწორა თვალი.

კალიდასამ იცოდა, სპარსელები რომ მზეს სცემდნენ თაყვანს. ფირდაზი უთუოდ ლოცულობდა. მერე რა, ადამიანები უარეს ღმერთებსაც ხომ სცემდნენ თაყვანს! მხატვარი ისე დაჟინებით აშტერდებოდა მზის დამაბრმავებელ სახეს, თითქოს უკანასკნელად ხედავსო.

— მოაშორეთ! — შეაჰახა მეფემ.

მსახურნი დაუყოვნებლივ მისცვივდნენ, მაგრამ გვიანღა იყო. თუმცა ფირდაზი უკვე ბრმად იქცა, მაგრამ მიდიოდა, როგორც თვალხილული, თამამად და თავაწეული. სამი ნაბიჯი რომ გადადგა, უკვე უფსკრულის პირას იდგა. ხმაც არ გაუღია, ისე გადაეშვა იმ ბაღებისაკენ, რომელთა გაშენებასაც ამდენი წელი მოანდომა. არც მაშინ ამოუღია ხმა, როცა თავისი ქმნილების ფუძეზე დაენარცხა.

კალიდასა მრავალი დღე გლოვობდა, მაგრამ მისი მწუხარება რისხვად იქცა, როცა ოსტატის უკანასკნელი წერილი უთარგმნეს. ვიღაცას ეთქვა სპარსელისათვის: როგორც კი სამუშაოს მორჩები, მეფე თვალებს დაგთხრისო. ეს უსირცხვილო ჭორი იყო. კალიდასამ ვერ გაიგო დამნაშავის ვინაობა, თუმცა მრავალს ამოხადა სული ნელი წამებით, მრავალმა დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა. კალიდასა ძლიერ დაალონა ამ სიცრუემ. სპარსელს უნდა სცოდნოდა, რომ ერთი მხატვარი მხედველობის ნიჭს არასოდეს არ წაართმევს მეორეს.

კალიდასა არც სასტიკი იყო და არც უმადური. ფირდაზს ოქროში ჩასვამდა. შინ გაუშვებდა, მსახურებს გააყოლებდა, სიცოცხლის აღსასრულამდე მისი შემწე და მფარველი იქნებოდა.

მან კი თვითონვე იზრუნა ყველაფრისათვის.

ძლეული კალიდასა თავისი დიდების მწვერვალზე იჯდა და დუმდა.

თარგმნა აკაკი გელოვანმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

## მზრუნველობას არ ვაკლებთ

კლასის ხელმძღვანელის ცისანა კეთილაძის რჩევით სკოლის საცდელ ნაკვეთზე დეკორატიული ბაღის გაშენება გადავწყვიტეთ. სიტყვა საქმედ ვაქციეთ. გ. დანელიამ, ქ. ჯოჯუამ, მ. ნანავამ, მ. ბურჯალიანმა, ნ. გელანტიამ და სხვებმა გულიანად დავამუშავეთ ნიადაგი და დავრგეთ ნაძვები, პალმები, მაგნოლიები, სხვადასხვაგვარი ყვავილები. ნაკვეთის ცენტრში კაქტუსოვანთა განყოფილება გვაქვს. ბაღის ყოველმა ნერგმა იხარა. ჩვენც მზრუნველობას არ ვაკლებთ მათ. ცოცხლდება და მშვენდება ჩვენი ბაღი.

**ნანა ჯოჯუა,**
ახალი კინდღის საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

## ჩვენი წვლილი

„პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლედის“ მოთხოვნები სასწავლო წლის დასაწყისშივე კიდევ ერთხელ განვიხილეთ, ერთიანი გეგმა შევიმუშავეთ და დავადგინეთ, რა წვლილს შეიტანდა თითოეული პიონერი მის შესრულებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ „ყაირათიანთა ლაშქრობაზე“. შევქმენით სარემონტო ბრიგადა „შევარდენი“, რომელშიც 15 პიონერი გაერთიანდა. ბრიგადა სასკოლო ქონების, დგამ-ავეჯის განახლება-შეკეთებაზე ზრუნავს. სკოლა-ინტერნატი ხომ ჩვენი ოჯახია და აქ ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნის. რეზო მიშიძემ და ზაქრო ქოჩიშვილმა სასკოლო შენობის ყინვისაგან დაზიანებული კედელი შელესეს, შემოლობეს ყვავილების გაზონები, შეაკეთეს ქიმიის კაბინეტის კარადები, ბრიგადის წევრების დახმარებით დამზადდა პლაკატები პირველკლასელებისათვის, შეიღება კარ-ფანჯარა.

დიდი მზრუნველობით ეკიდება თითოეული ჩვენგანი წიგნებს. ვცდილობთ სიცოცხლე გავუხანგრძლივოთ სახელმძღვანელოებს. ლამაზად გამოიყურება ყველა კლასის კარადაში მოვლილი, ფაქიზად შენახული სახელმძღვანელოები, ყველას გადაკრული აქვს წიგნსაცავი ყდა. რაზმეულში პერიოდულად ტარდება კონკურსი სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობაზე. გამარჯვებულ რაზმს რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით გადაეცემა გარდამავალი ალამი.

ოპერაცია „შუქურასთან“. დაკავშირებით შევქმენით საგუშაგო, რომლის წევრები აწყობენ რეიდებს, როგორც საძინებელ, ასევე სასწავლო და სასადილო კორპუსებში. დღეს უკვე, შეიძლება ითქვას, ჩვენი სკოლა-ინტერნატის ყველა მოსწავლეს, ყველა მუშაკს გამოუმუშავდა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის ჩვევა.

**ფატი ალზორიშვილი,**
ახმეტის სკოლა-ინტერნატი,
VII კლასი.

## ეს რა ყაირათიანობაა?!

სკოლაშიც და სახლშიაც ახლა ხშირად ლაპარაკობენ ყაირათიანობაზე. ჩვენ, ბავშვები, შეძლებისდაგვარად მხარს ვუბამთ უფროსებს. მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეს ვხედავთ, რომ სიტყვასა და საქმეს შორის კავშირის დადგენა გვიჭირს.

მე ვერეს ნაპირას, ს. ჩიქოვანის ქუჩაზე ვცხოვრობ. გაღმა ნაპირზე, ვაკის მხარეს, უზარმაზარი ტერიტორიაა, სადაც სამშენებლო ნარჩენებს თუ სამრეწველო ნაგავს ყრიან. მე და ჩემი ტოლი ბიჭები ხშირად დავდივართ ხოლმე იქ, — უბრალოდ, თვალს წყალს ვალევინებთ. ამას წინათ რამდენიმე მანქანით აურაცხელი სასკოლო სკამი და მერხი მოზიდეს და დაყარეს. არ ვიცი, რატომ გაიმეტეს ასე ულმობლოდ, როცა თავისუფლად შეიძლებოდა ათობით სკამის შეკეთება (ზოგს მარტო თითო სჭვალი აკლდა!). ისინი კიდევ დიდხანს მოემსახურებოდნენ სკოლას. გარდა ამისა, იმ სკამების ჩონჩხი ლითონისაა, ჩვენ კი სად არ დავეძებთ ხოლმე ჯართს! ნუთუ არ შეეძლო სკოლას, რომელმაც ის სკამები და მერხები სანაგვეზე გადაყარა და მიწაში ჩასაფვლელად გაიმეტა, ჯართად მაინც ჩაებარებინა?

აი, აქ კი ვერ ვხედავ ყაირათიანობის მაგალითს, რომელსაც შეიძლება მიბაძოს კაცმა...

**ვალერი ანდრეევი,**
თბილისი, 162-ე საშუალო სკოლა,
VI კლასი.

## „რომანტიკა“ — სადისკუსიო კლუბი

ჩვენი კლუბი არცთუ ისე დიდი ხანია, რაც არსებობს. მისი შექმნის იდეა სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს ციალა რომანიძეს გაუჩნდა. უფროსი პიონერხელმძღვანელი ხშირად გვესაუბრებოდა ხოლმე მეგობრობის, ამხანაგობის, ზნეობის შესახებ. და აი, ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს ციალამ თავისი აზრი გაგვიზიარა: „ხომ არ აჯობებდა საუბრის დღე დაგვეწესებინა, წინასწარ შეგვედგინა თემატიკაც“.

ჩვენც და პიონერხელმძღვანელსაც ძალიან მოგვეწონა ციალას წინადადება. მაშინვე გადაწყდა შეგვექმნა პიონერთა სადისკუსიო კლუბი და მისთვის „რომანტიკა“ გვეწოდებინა.

კლუბის შეკრებებზე მართლაც საინტერესო საკითხებზე ვსაუბრობთ, ვკამათობთ, ვაწყობთ წიგნის განხილვებს, დავდივართ ექსკურსიებზე, ვატარებთ ანკეტურ გამოკითხვებს პროფესიის არჩევაზე, ვმსჯელობთ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალებზე. მიმდინარე საკითხებზე და ა.შ. შემოვიღეთ კითხვა-პასუხის ყუთი, მასში შემოსულ შეკითხვებს თვეში ერთხელ ვცემთ პასუხებს.

მარინე ხაბაზი,
ქობულეთი. აჭყვისთავის საშუალო სკოლა, პიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

## დანაშაულად მიგვაჩნია

ჩვენთვის არავის დაუვალებია, მაგრამ გადავწყვიტეთ, თვითონვე მივაქციოთ ყურადღება წყლის თუ ელექტროენერგიის სწორ ხარჯვას. სახლში ხომ — თავისთავად, მაგრამ სკოლაშიაც ყოველთვის ვამოწმებთ, ტყუილუბრალოდ ხომ არ იღვრება წყალი. ამ რამდენიმე ხნის წინათ ვნახეთ ფილმი უდაბნოში გზააბნეულ ადამიანებზე, რომლებიც სასტიკად იტანჯებოდნენ წყურვილით. ჩვენ კი ხშირად გვინახავს ღიად დატოვებული ონკანი, საიდანაც მაცოცხლებელი წყალი მოთქრიალებს და უსარგებლოდ იკარგება. ეს ჩვენ დანაშაულადაც კი მიგვაჩნია.

ნატო გრიგალაშვილი,
მაია ავლოხაშვილი,
უჩა ხიტირი,
თბილისი, 48-ე საშ. სკოლა, VI კლასი.

## ჩვენი გამოფენა

### ზამთრის სურათი

ბუხარში ანთია ცეცხლი,
ფიფქები ყვებიან ზღაპარს,
მიფრინავს ოცნება თეთრი
და მიწა იხურავს საბანს.

ოთახში ფუსფუსებს ბებო,
ღუმელთან ბერიკაცს სძინავს,
ოცნებას მივყავარ ზევით,
საიდან კი ფიფქები ცვივა.

თამრიკო ზაიშმელაშვილი,
ხილნალის რ-ნი, ტიბაანის საშ. სკოლა, IX კლასი.

## ჩემი სოფელი

სოფელი გოხნარი დაბა მანგლისის ახლოს მდებარეობს. დასავლეთიდან ბედემის მთა ამოსდგომია, აღმოსავლეთიდან — შოლტიგორისა, სამხრეთიდან კი სახნავ-სათესი მინდვრები აკრავს.

ზაფხულში ვანო პაპამ სოფლის ახლოს მდებარე „ლოდიანი“ დამათვალიერებინა. ამ ადგილს სხვანაირად ნასოფლარსაც ვეძახით. ვეება ლოდებით ამოშენებულ პატარა ოთახებთან წყარო ამოჩუხჩუხებს. ვანო პაპამ ჩვენი სოფლის გაშენების ისტორია მიამბო. შაჰ-აბასის ერთი შემოსევის დროს ხალხი თავიანთი საცხოვრისიდან აყრილა თურმე და ამ ადგილას, ზედ წყაროსთან, ადამიანის თვალისათვის ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ეს „სახლები“ და ეკლესია აუგია. სახელად აძიკვი შეურქმევიათ სოფლისა და ეკლესიისათვის. დროთა მდინარებას შეუცვლია სოფლისათვის სახელი. აძიკვის ეკლესია კი დღესაც დგას ჩვენს სოფელში გოხნარელთა საამაყოდ და გასახარად.

გულიკო მჭედლიძე,
თეთრი წყაროს 1-ლი საშუალო სკოლა, VI კლასი.

## ხის ტოტებში მომწყვდეული ცა

— გამიშვი!

— ვერა, ვერ გაგიშვებ!

— მითხარი მაინც, რა გინდა ჩემგან!..

— იცი, მე სულ შენ მოგჩერებივარ, ყველა ჩემი ტოტი ერთთავად შენ გიმზერს — როცა იღრუბლები, როცა იცინი და როცა ტირი, მაშინაც, გიყურებ და სულ ვნატრობ: ნეტავ, ჩემთანაც ჩამოვიდეს-მეთქი...

— ნუ ყბედობ ერთი! გამიშვი, შენთვის არა მცალია!

— ვერ გაგიშვებ. იცი, როგორ მიყვარხარ? გეყოფა სულ სხვაგან ხეტიალი. ცოტა ხანს მაინც დარჩი ჩემთან.

— შენ ძალიან ცივი და უხეში ხარ, თანაც უშნო. არ ვიცოდი, თუ ასეთი იყავი, თორემ არც შევისმენდი შენს ვედრებას, ყურადღებას არ მივაქცევდი მუდარით ამოწვდილ შენს ტოტებს და სულაც არ ჩამოვიდოდი შენთან...

— მოიცა, ყური დამიგდე. მერე რა, რომ ულამაზო ვარ. ცოტა დამაცადე, გამოზაფხულდება, მწვანით შევიმოსები, გავკოხტავდები და...

— ჰოდა, როცა გალამაზდები, მაშინ მოვალ, ახლა კი — მშვიდობით.

და წავიდა ცა სულ ზევით და ზევით. ძირს კი, დედამიწაზე, საცოდავად მობუზული, ცრემლიანი ხე დატოვა. იდგა დანაღვლიანებული, ტოტებდახრილი მარტოხელა ხე და კარგს აღარაფერს ელოდა.

ცა კი მიდიოდა მაღლა, სულ მაღლა. მიდიოდა შეუსვენებლივ, სწრაფად, ლაღად. უკან არც იხედებოდა. მაგრამ უცებ ძალა წაერთვა, მოდუნდა, ძლივძლივობითღა მიბობღავდა ზევით. ბოლოს კი არაქათგამოცლილმა დაბლა იწყო დაშვება.

ხეს ყრუ კვნესა შემოესმა. ზე აიხედა და გაშეშდა... მის საყვარელ ცის ნაფლეთს სიკვდილი უხმობდა ქვემოდან. ხე ტანში გაიმართა, გასწორდა, ტოტები გაშალა და ცას შეაგება. იგი მის მკლავებში ჩაეშვა. ძლიერი და საოცრად რბილი ტოტები შემოეხვია ცას, მაგრამ იგი უკვე ვეღარაფერს გრძნობდა — მკვდარი იყო...

მე ხშირად მივდივარ იმ ადგილთან, სადაც ტოტებგადახლართული, გამხმარი ხე დგას და ვუმზერ ტოტებს შორის მოქცეულ, საოცრად ცისფერ მკვდარ ცას.

მაია ჭალაგანიძე, თბილისის 42-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

## ზამთარი

რა საამო დილა არის,
რა ნათელი დარია,
ქათქათა თოვლს მინდორ-ველად
თეთრად გაუხარია!

ზამთრის ფუნჯით მოხატული
სარკმლის ჩუქურთმებია,
ყინვის დევებს დაემსგავსნენ
ბუმბერაზი მთებია.

პირველ თოვლით ფრთაშესხმულნი
ბავშვები სულ მღერიან,
ნაძვის ხესთან შეგროვილან
და ახალ წელს ელიან.

## ზამთრის პირი

მოქუფრულა მთელი ზეცა,
მოწყენილა, ცრემლით გოდებს,
ციდან აფრქვევს მარგალიტებს,
ზამთარი ხრის ხეთა ტოტებს.

ცას კალათა დაუცლია,
თოვლის ხვავი დაუდგია,
ბოგუზგუზე ბუხარში კი
ზამთარს ცეცხლი დაუნთია.

ნინო მთვარაძე.
ხაგარეჯო, მე-3 საშ. სკოლა, VI კლასი.



ირმა გოგიაშვილი,
9 წლის. თბილისი.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

## ქუქუნა წვიმა

ზაფხულის დილაა. კარგ გუნებაზე გავიღვიძე, ღიმილი ამყვა. გარეთ საამურად წვიმდა. მზე მაღლიდან მხიარულად იცქირებოდა. „მზე პირს იბანსო“, — თქვა დედამ. საუზმის შემდეგ მაღაზიაში წავედი. ხალხს სახე გამოდარებოდა, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. ყველაფერი ზაფხულის წვიმის ბრალი იყო. არავის ეტყობოდა არც წუხილი, არც მოღუშულობა.

მართლაც რომ საამურია ზაფხულის ქუქუნა წვიმა. მოვა, გააგრილებს მიწას, სწრაფად გადაიღებს, მაგრამ მერე მოვენატრებით და ისევ მოგვაკითხავს.

ხათუნა გელაშვილი,
თბილისის 48-ე საშუალო სკოლა,
VI კლასი.

## ღამე

ღამეა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ნელა მიცურავს ოქროსფერი დისკო და ნათელს აფრქვევს არემარეს.

ტყეს არ სძინავს, მშვიდად სუნთქავს და სიჩუმეს უსმენს. არც ველს სძინავს. ამწვანებულ მკერდზე ზოლად გაჰყოლია ტყის ვეება ჩრდილი. ციცინათელები დაციალებენ და გაბმულად ჭრიჭინებენ ჭრიჭინები.

ხევშიაც ჩაღვრილა ნათელი. ერთმანეთს ჩახვევიან ხეთა ტოტები, ფოთლები მორცხვად ჩურჩულებენ შორეულ ვარსკვლავებზე: რა ლამაზად დაგვაქარგეს თავიანთი ათინათი მწვანე კაბებზეო.

ველზე ლაღი ირემი გამობრძანდა. შეჩერდა, თითქოს გააქვავა ღამის სილამაზემ: მშვენიერი იყო ცა, საამო იყო ყვავილთა სურნელი. დიდხანს იდგა უძრავად, ნამგალა მთვარე ქანაობდა მის დატოტვილ რქებში.

ბუნების საოცარი სიზმარივით, ლურჯად კამკამებდა ღამე...

მაია თუნბია,
გალი, რეფის საშუალო სკოლა.

## ტირიფი

გინახავთ ტირიფი? ან, თუ გინახავთ, დაკვირვებიხართ? თუ გიფიქრიათ, რატომ დგას ასე თავჩაქინდრული? მაგრამ რას ან რაზე დარდობს, ეს მხოლოდ მან იცის, და არც უზიარებს არავის თავის სადარდებელს... ჯერ კიდევ მწვანე, სათუთი ფოთლები ღეროებიანად მიწამდე დაუხრია. არავის უნახავს თავაწეული, გამართული ტირიფი. წვიმა უხვად ასხურებს წვეთებს მის გრძელ, ნაზ ფოთლებს. წვეთი წვეთს მოჰყვება და ასე, ვინ იცის, როდის ჩამოიწმენდს წვეთებს ფოთლებიდან ხე. როდესაც წვიმა გულს მოიჯერებს და ღრუბლებს მიეფარება, ტირიფი ერთ ხანს კიდევ იცრემლება. მზე ეხმარება ტირიფს ცრემლების შეშრობაში, მხოლოდ მზე ჰყავს ნუგეშისმცემლად და ჭირის გამზიარებლად. მიაყრის თავის უხვ სხივება და აუბრჭყვიალებს ცრემლებს, ნამის ღილებივით რომ მიჰკვრიან ფოთლებს. მაგრამ აი, შეაშრა ცრემლები. თქვენ გგონიათ, გაიღიმებს და თავაწეული, გამხიარულებული გადახედავს ირგვლივ ყველაფერს, როგორც ეს პატარა ბავშვს სჩვევია, ტირილის შემდეგ რომ რაღაცით გაახარებენ და ისიც იღიმება? არა, ტირიფი ცრემლებს კი შეიშრობს, მაგრამ ისევ თავჩაღუნული, დადუმებული, ჩაფიქრებული, სევდიანი დგას.

რატომ?

ლელა ზულიაშვილი,
თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების კარი

# ცხოველთა მეგობრობა მცენარეებთან და ადამიანებთან

ცხოველთა სიმბიოზი მხოლოდ სხვა ცხოველებთან კავშირით როდი შემოიფარგლება. ცხოველები მეგობრობენ როგორც დაბალი, ისე მაღალი განვითარების მცენარეებთანაც — ბალახებსა და მერქნიანებთან. ბუნებრივი შერჩევისას უმაღლესი განვითარების არაერთმა მცენარემ გამოიმუშავა განსაკუთრებული შემგუებლობა, რომელიც ამა თუ იმ ცხოველის მიზიდვასაც გულისხმობს. მცენარეთათვის სასურველ ამ ცხოველებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ მცენარის თესლი, ამტვერიანებენ მათ. ასეთი კავშირი სასარგებლოა ორივესათვის — მცენარეული თუ ცხოველური ორგანიზმისათვის.

ბუნებისა თუ ადამიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცენარეებსა და ცხოველებს შორის არსებული კავშირის სხვა ფორმასაც — ყვავილებისა და მათი დამამტვრიანებელი — მწერების, ან ნადირ-ფრინველის სიმბიოზს. ამ კავშირის წყალობით ილევიან ნაყოფს ბაღები, ბიბინებენ ველ-მინდვრები, ხარობს თითქმის ყველა მცენარე.

მცენარეებს, რომელთაც ამტვრიანებენ მწერები, აუცილებლად აქვთ განვითარებული დამამტვრიანებელთა მიაზიდი სპეციალური მოწყობილობანი. ესენია მათ ღერო-ტოტებზე გამოფენილი, გემრიელი თაფლოვანი ნექტარით დატვირთული ყვავილები. მცენარეებს არც ცხოველები რჩებიან ვალში, იგანგლებიან რა ყვავილის მტვერში, სწორედ მათ გადააქვთ იგი იმავე სახეობის სხვა მცენარეთა ყვავილებში. ამ წესით ხდება ჯვარედინი დამტვერვა.

ნექტარი სხვადასხვა ხარისხის ბუნებრივი შაქრების ნაერთია. მასში შედის გლუკოზა და სახაროზა. სხვადასხვა მცენარეთა ნექტარში შაქრების კონცენტრაცია ერთნაირი როდია, ზოგან იგი მხოლოდ 8 %-ს შეადგენს, ზოგან კი 76 %-საც. ნექტარი საკმაოდ კალორიული პროდუქტია. ბევრი ზრდასრული მწერი (და მათი მატლებიც) მხოლოდ ყვავილთა ნექტარით იკვებება: ნექტარს ყვავილის განსაკუთრებული ჯირკვლები გამოყოფს.

გარდა ყვავილების ტკბილი წვენისა, ნექტარის როლს ასრულებს ყვავილთა მტვერი. ეს იგივე მცენარის მამრობითი სასქესო უჯრედებია. ამ უკანასკნელთ მხოლოდ მცენარეთა განაყოფიერება როდი აკისრიათ. ყვავილში მტვრის იმდენად დიდი მარაგია (ჩვეულებრივ, რამდენიმე მილიონი), რომ იგი მას თავსაყარად ჰყოფნის არა მარტო დასამტვრიანებლად, არამედ დამამტვრიანებელთა გამოსაკვებადაც. მაგალითად, ყაყაჩოს თითოეულ ყვავილში 2 მილიონ 600 ათასი მტვრის მარცვალია, პეონში — 3 მილიონ 600 ათასიც კი.

მტვერი გაცილებით უფრო ყუათიანია, ვიდრე ნექტარი. გარდა შაქრებისა, იგი შეიცავს ცხიმებს, ცილებსა და ვიტამინებს, ამიტომ განსაკუთრებით ბევრ მტვერს წარმოქმნიან ნექტარით ღარიბი ყვავილების მქონე მცენარეები. ტროპიკული ორქიდეები მწერებს მარტო მტვრითა და ნექტარით როდი იზიდავენ, მათ ყვავილებზე იზრდება, აგრეთვე, საკვებად ვარგისი, ცილებითა და ცხიმებით მდიდარი ბუსუსები.

ზოგი მცენარე თბილი „ბინით“ ხიბლავს სტუმრებს. მათ ყვავილებში მწერები ღამით და უამინდობისას პოულობენ საიმედო თავშესაფარს. სხვები აქ ბუდის მასალას აგნებენ, ან შთამომავლობას აფარებენ.

ყველაზე ეშმაკური მისატყუარა აქვს რორიდულას. მისი თითოეული ფოთოლი გრძელი, თეთრი ბეწვით არის დაფარული. ბეწვების ბოლოები კი — წებოვანი წვეთებით. მცენარეს მძაფრი სუნი აქვს. ბუზები ესევიან არომატულ ფოთლებს და ეწებებიან მის ბეწვებს. მაგრამ რორიდულა მწერიჭამია მცენარე როდია. ბუზები მას მხოლოდ მისატყუებლად სჭირდება. დადგენილია, რომ რორიდულა „მეგობრობს“ კიდეც მწერებთან, კერძოდ — ობობებთან; ისინიც ამტვრიანებენ მცენარეს. ამ სასურველი სტუმრების მისაზიდად ზრუნავს რორიდულა ბუზების, კოღოებისა და სხვა მწერებისაგან დამზადებული გემრიელი სამზარეულოსათვის. რორიდულასთან „დამობილებული“ ობობებიც მხოლოდ მცენარეზე დაწებებული მწერებით იკვებებიან. გადადიან მცენარიდან მცენარეზე და ამტვრიანებენ მათ.

ტკბილი, ნუგბარი საკვებისათვის მცენარეებს ამტვრიანებენ არა მარტო მწერები და სხვა ფეხსახსრიანები, არამედ ფრინველები და ძუძუმწოვრებიც. დამამტვრიანებელ ფრინველთაგან ყველაზე ცნობილი არიან ტროპიკული ორნითოფაუნის წარმომადგენლები — კოლიბრები, ძუძუმწოვართაგან კი — სხვადასხვა ღამურები და, თქვენ წარმოიდგინეთ, თაგვებიც კი. ის მცენარეები, რომლებსაც ღამურების „იმედი“ აქვთ, ყვავილებს მხოლოდ ღამით შლიან.

შალვა საბაშვილი

## ხომ არ ყოფილან ოდესმე დედამიწაზე კოსმოსის წარმომადგენელნი?

ყველას აინტერესებს, არის თუ არა სამყაროში სხვა ცივილიზაცია. ამ საკითხს ბევრი მეცნიერი იკვლევს. ამერიკელმა მეცნიერმა კ. საგანმა სხვადასხვა თეორიული გამოთვლის გზით დაასკვნა, რომ მარტო ჩვენს გალაქტიკაში ერთდროულად უნდა არსებობდეს მილიონამდე ცივილიზაცია, რომელთა ტექნოლოგიური განვითარება საკმარისი იქნება ერთმანეთთან და ჩვენთანაც კავშირის დასამყარებლადო. კ. საგანის მოსაზრებებს თუ გავიზიარებთ, ძნელად წარმოსადგენი იქნება, რომ დედამიწის არსებობის მთელი დროის განმავლობაში იგი კოსმოსის არც ერთ ცივილიზაციას არ მოენახულებინა.

ამასთან დაკავშირებით კოსმოსურ ცივილიზაციათა ერთ-ერთმა მკვლევარმა მ. აგრესტმა დასვა პრობლემა — ხომ არ არის დედამიწაზე რაიმე მატერიალური ძეგლები, რომლებიც, შესაძლოა, სხვა პლანეტის მცხოვრებლებმა დატოვეს თავიანთი მოსვლის სამახსოვროდ? ამასთან, ხომ არ აირეკლა ამა თუ იმ ხალხის მითებსა და ლეგენდებში რომელიმე კოსმოსური სტუმრობა? კ. საგანს მოჰყავს ამგვარი შემთხვევა: 1786 წელს ფრანგ ზღვაოსანს ლაპერუზს ჩრდილო-დასავლეთი ამერიკის ინდიელები მოუნახულებია; ერთი საუკუნის შემდეგ შეისწავლეს ამ ხალხების მითები, ლეგენდები და მათი საშუალებით საკმაოდ ზუსტად აღადგინეს ამ ისტორიული მოვლენის სურათი. ლაპერუზის ხომალდების გარეგნული სახეც კი თითქმის დეტალურად აღუდგენიათ. როგორც ჩანს, ძველი ხალხების მრავალი მითი სარწმუნო ისტორიულ ცნობებს უნდა ინახავდეს. აგრესტის აზრით, ბიბლიაში აღწერილი ბევრი საოცარი მოვლენის სათავე უნდა ვეძიოთ სწორედ დედამიწაზე უცხოპლანეტელი ასტრონავტების სტუმრობის ამბავში. მაგალითად, ამა თუ იმ მიწიერი მცხოვრების „ცად ამაღლება“ შესაძლოა ნიშნავდეს ასტრონავტების მიერ კოსმოსურ ხომალდში აყვანას. აგრესტი დედამიწის კულტურის ზოგ მატერიალურ ძეგლსაც კოსმოსიდან მოსულებს უკავშირებს. მაგრამ სარწმუნო მტკიცება ჯერ ვერ მოჰყავს.

ყურადღება მიიქცია შუმერულმა ეპოსმა, რომელიც მოგვითხრობს, როგორ ჩნდებოდნენ სპარსეთის ყურის წყლებში სისტემატ[illegible] ცარი არსებები, რომ[illegible] ობრივ მცხოვრებლებს მეცნიერების საფუძვლებსა და ხელობას ასწავლიდნენ. საერთოდ, კ. საგანი შუმერული კულტურის ნახტომისებურ განვითარებას, რაც უშუალოდ მოჰყვა ხანგრძლივ ბარბაროსულ ცხოვრებას, განსაცვიფრებელ ფაქტად მიიჩნევს. კოსმოსის წარმომადგენელთა შესაძლო სტუმრობა ძვ. წ. მე-4 ათასწლეულშია ნავარაუდევი. ასე რომ, მონახულებათა სიხშირის ზოგიერთი შეფასების თანახმად, მორიგ სტუმრობას კოსმოსიდან მალე უნდა ველოდეთ!

## საიდან გაიგეს დოგონებმა ვარსკვლავ სირიუსის ორმაგობა?

კოსმოსური ცივილიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესოა აფრიკაში, ახლანდელი მალის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მთებში მცხოვრები დოგონების ტომის მითოლოგია. ფრანგმა მეცნიერებმა მ. გრიოლმა და ჟ. დიტერლენმა შეისწავლეს და წიგნად გამოსცეს ამ ხალხის თქმულებები. გამოირკვა, რომ მის წინაპრებს შორეულ წარსულში სცოდნიათ ზოგი მეტად საინტერესო ასტრონომიული

---

თავისებური ურთიერთობები ყალიბდება ცხოველებსა და ადამიანებს შორის ზოოპარკებსა და ცირკებში. მაგალითად, თუ ვეფხვი მეორე ნაცნობ ვეფხვთან შეხვედრისას მოკლედ იღრინება, ზუსტად ასევე ესალმება იგი თავის მომვლელსაც: ამით იგი ადამიანს აგრძნობინებს, რომ მას თანამოძმე „ვეფხვად“ თვლის.

ზოოლოგიურ პარკებში ცხოველები ხშირად ცნობენ კონკრეტულ დამთვალიერებლებს. მაგალითად, ციურიხის ზოოპარკში ცხოვრობდა ხანში შესული მაიმუნი კაპუცინი — თანამოძმეთა წინამძღოლი. გამოირკვა, რომ იგი მნახველებს შორის რამდენიმე კონკრეტულ ადამიანს კისკისითა და ოვაციებით ხვდებოდა; საგულისხმოა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ასეთივე ქცევების გამომჟღავნება დაიწყო წინამძღოლის „მემკვიდრე“ მეორე კაპუცინმაც, რომლისთვისაც ამგვარი რამ ადრე არავის შეუმჩნევია.

უნდა ითქვას, რომ ადამიანი, არცთუ იშვიათად, იამხანაგებს მასთან მცხოვრებ ცხოველებს. რამდენი შემთხვევა ვიცით, როცა ძაღლსა და კატას მთლიანად შეუვსიათ ადამიანისათვის უშვილობით გამოწვეული ვაკუუმი, ხოლო ადამიანსა და ძაღლს შორის თითქმის თანაბართა დამოკიდებულება დამყარებულა.

გლობალური მასშტაბის სიმბიოზი აერთიანებს დედამიწის ბინადარ ყველა ცოცხალ ორგანიზმს. ყველა ცხოველი, მცენარე თუ ბაქტერია აუცილებელი წევრია ამ კავშირისა. ურთიერთდამოკიდებულების უმჭიდროესი კავშირებით არიან ისინი შედუღაბებულნი ერთ გიგანტურ ორგანიზმად — ბიოსფეროდ, სადაც თითოეულს თავისი სასიცოცხლო ფუნქცია აქვს და სადაც ერთი მეორეს ავსებს.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფაქტი, რომელიც არ შეიძლებოდა მეცნიერების იმდროინდელ დონეზე დადგენილიყო, მაგალითად, ის, რომ სირიუსს ჰყავს თანამგზავრი ვარსკვლავი, რომელიც აფეთქებულა; ამასთან, ის გარს უვლის სირიუსს 50-წლიანი პერიოდით. სირიუსს მართლაც ჰყავს თანამგზავრი (ჩვენ ეს 1861 წელს აღმოვაჩინეთ; საერთოდ, ორმაგი ვარსკვლავების არსებობა პირველად 1781 წელს იქნა დადგენილი). მაგრამ მთავარ ვარსკვლავსა და თანამგზავრს შორის კუთხური დაშორება მხოლოდ 7,6“-ია, რაც გაცილებით მცირეა თვალის გარჩევის უნარზე (60“, ზოგ განსაკუთრებულ შემთხვევაში 30’). უტელესკოპოდ სირიუსის ორმაგობის შემჩნევა შეუძლებელია. ამას გარდა, მეორადი ვარსკვლავი მე-8 სიდიდისაა, ე. ი. შეუიარაღებელი თვალით იგი უხილავია, თუნდაც იზოლირებული იყოს. რაც შეეხება გარემოქცევის პერიოდს, იგი 49,9 წელს შეადგენს, რაც განსაცვიფრებლად უახლოვდება მითებიდან მომდინარე ცნობას.

საერთოდ, დოგონებს საკმაოდ განვითარებული წარმოდგენები ჰქონიათ ვარსკვლავთა შესახებ. ისინი ასხვავებენ ვარსკვლავს (ტოლო), პლანეტას (ტოლო ტანაზე, ე. ი. მოძრავი ვარსკვლავი) და თანამგზავრ ვარსკვლავს (ტოლო გონოზე, ე. ი. წრეზე მოძრავი ვარსკვლავი, ანუ ორმაგი სისტემის შემადგენელი შედარებით მცირემასიანი ვარსკვლავი). სირიუსი, მათი აზრით, სამმაგი სისტემაა. მესამე ვარსკვლავი, სახელად ემე ია ტოლო უფრო შორსაა სირიუსისაგან, ვიდრე მეორე (პო ტოლო), მაგრამ იმავე პერიოდით გარემოიქცევაო (ეს ეწინააღმდეგება კეპლერის კანონებს, რომელთა თანახმად, რაც უფრო დაშორებულია პლანეტა ან სხვა სხეული ცენტრული ვარსკვლავისაგან, მით უფრო მეტია მისი გარემოქცევის პერიოდი). სირიუსის მესამე თანამგზავრი მეცნიერთა მიერ მინიშნებულია, მაგრამ თანამედროვე ასტრონომიას იგი ჯერ არ უპოვია. საინტერესოა, რომ, დოგონების აზრით, ქვეყნიერება შედგება ოთხი ელემენტის — მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლისაგან, მაგრამ სირიუსის თანამგზავრში მიწა შეცვლილია „საგალათი“ — ყველაზე მძიმე ნივთიერებით, რომელიც ლითონებზეც კი მრავალჯერ მკვრივიაო. ეს მიგნება საოცარია — სინამდვილეში ეს ვარსკვლავი ე. წ. თეთრი ჯუჯა ვარსკვლავია, რომელიც გადაგვარებული აირისაგან შედგება და მართლაც ძალზე მკვრივია — დაახლოებით $10^6$ გ/სმ$^3$ (1 ტონა ნივთიერება 1 სმ$^3$-ში).

დოგონებს ისიც სცოდნიათ, რომ ვარსკვლავები მზეებია, ოღონდ ძალზე შორი, ისინი ქმნიან სპირალურ სისტემებს (გალაქტიკებს) და ამ სისტემებით უსასრულო სამყაროა დასახლებულიო. რასაკვირველია, ეს მეტად საოცარია, თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ ამგვარი კოსმოლოგიური მიგნებები ძველ ბერძენ მოაზროვნეებსაც ჰქონდათ. აქ ყველაზე განსაცვიფრებელი ის კონკრეტული ცოდნაა, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. ასევე გასაოცარია, რომ იმავე დოგონებმა იციან მზის სისტემაში მხოლოდ 5 პლანეტის (არ იციან ურანს, ნეპტუნს, პლუტონს) და იუპიტერის მხოლოდ 4 თანამგზავრის არსებობა (14-დან). იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი ცოდნა არაა სისტემური ხასიათისა, თითქოს მათ მიერ კი არ არის მოპოვებული, არამედ სხვისგან შეუძენიათ.

ცხადია, უმთავრესი მნიშვნელობა იმას აქვს, თუ რამდენად სწორად არის გაშიფრული დოგონების ზეპირსიტყვიერება, რამდენად შეესატყვისება მათი ცნობები ციურ მნათობებს და რომელი საუკუნიდან მომდინარეობენ ისინი (არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შესაძლოა ევროპელმა მისიონერებმა გადასცეს დოგონებს რაღაც ასტრონომიული ცოდნა). მაგრამ თუ ყველაფერი ნათქვამი სინამდვილეს შეეფერება, მართლაც გასაოცარი სურათი იხატება. საყურადღებოა, რომ დოგონთა აზრით ადამიანებისთვის სხვადასხვა მნათობებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. ამ მხრივ ისინი განსაკუთრებით გამოჰყოფენ სირიუსს. ისინი თითქოსდა ვარსკვლავთშორის მოგზაურობებზეც მიგვითითებენ, რომლებიც სირიუსიდან იწყება და მზესთან თავდება! კიდევ ვიმეორებთ, ეს საკითხი მეცნიერულად შესასწავლია (ბოლო ხანებში ეჭვქვეშ დააყენეს დოგონთა მითოლოგიის ზოგიერთი ასპექტის გაშიფვრა), მაგრამ უაღრესად საინტერესო რომ არის, ეს უეჭველია.

ამ წერილის ყველა მონაცემს თუ შევაჯერებთ, კიდევ ერთხელ გაგვიჩნდება კითხვა: ხომ არ სტუმრებიან დედამიწას ოდესმე კოსმოსური ცივილიზაციების წარმომადგენლები? ხომ არ არის ამის მანიშნებელი მატერიალური ძეგლი, გადმოცემა, ან რაიმე ფიზიკური მოვლენა, რაც სხვანაირად ვერ აიხსნება?

თუმცა ამისი პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი (ისევე, როგორც უარმყოფელი) არ არსებობს, მომდევნო წერილში ჩვენ მოგითხრობთ ერთი მეტად საინტერესო ფიზიკური პრობლემის — დაგვიანებული რადიოექოების შესახებ.

პასუხი 1982 წლის № 3-ში დასმულ კითხვებზე



# იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესია

სოფელი იდლეთი კასპის რაიონში, მდინარე კავთურას ხეობაში მდებარეობს. სადგურ კავთისხევიდან მდ. მტკვარზე გადასასვლელი ხიდით გზას ხევ-ხევ. ზემოთ მივყავართ. ეკლესია მდ. კავთურას ნაპირზე, თრიალეთის მაღლობიდან დაშვებულ ვაკეზე დგას. მისი ეზოდან თვალწინ იშლება ვეებერთელა სივრცე კავკასიონის თოვლიან მწვერვალებამდე.

ეკლესია მოცულობით მცირეა. გეგმით თავისუფალი ტიპის ნაგებობის კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის ტლანქად დამუშავებული ქვით, კირის ხსნარზე. საკურთხევლის აფსიდი და სამი უაფსიდო მკლავი უშუალოდ უკავშირდება გუმბათქვეშა სივრცეს. ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათი მასიური და უხეშია. ძეგლის თავისებურებაა შიგნიდან რვაწახნაგა, გარედან კუთხეებჩამოთლილი კუბი — იდლეთის ეკლესია ამით განსხვავდება სხვა ქართული ძეგლებისაგან. შენობის მკლავები მოკლეა, გუმბათის ყელი — ფართო და მძიმე, მორთულობა — ძუნწი.

გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია გაჭრილი. აღმოსავლეთის ფართო სარკმელს თაღი გასდევს. დანარჩენი სამი სარკმელი ვიწრო და სწორკუთხოვანია. დასავლეთის სარკმელი დანარჩენებისაგან თავისი წყობით გამოირჩევა, რაც ალბათ იმის მაჩვენებელია, რომ იგი გვიან არის რესტავრირებული. თავის დროზე ეკლესია შიგნიდან შელესილი იყო, ახლა შელესილობაც და მხატვრობაც ჩამოცვენილია და კედლები გაშიშვლებულია, თუმცა ალაგ-ალაგ შერჩენილია ფრაგმენტები. დეკორატიული მორთულობა არა აქვს, ხადაა; სახურავი დაზიანებულია; ალაგ-ალაგ შემორჩენილია დაბალი ქანობის კრამიტის სახურავსა და სიბრტყეს შორის ჩასმული სადა, შედარებით კარგად დამუშავებული კარნიზი, რომელიც გამოირჩევა ეკლესიის საერთო კოლორიტისაგან — მწვანე ქვისაგან არის ნაკეთები. აღმოსავლეთის ფასადის ერთ-ერთ ქვაზე დაზიანებული წარწერაა. ეკლესიის ერთადერთი დეკორატიული მორთულობაა სამი სადა ჯვრის გამოსახულება გუმბათის ყელზე; ჯვრებიც მწვანე ქვაზეა ამოკვეთილი. ამჟამად მთელი ნაგებობა მიწაშია ჩაფლული 70 სმ-ით.

დასავლეთის მინაშენს ადგილობრივი მცხოვრებლები „საქალებოს“ უწოდებენ და სამეცნიერო ლიტერატურაშიც ამავე სახელით არის ცნობილი. მინაშენი გეგმაში სწორკუთხოვანია. მის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში სამი წყვილი მასიური ბურჯი დგას და მათზე ცილინდრული კამარის საბჯენი თაღია გადატყორცნილი. მინაშენი კედლების სისქე 90-95 სმ-ია (თვით ეკლესიის კედლებისა კი — 60-75 სმ.). მინაშენი ბურჯები, საბჯენი თაღი და ზედ დაყრდნობილი ცილინდრული კამარაც ძალზე ტლანქია; როგორც ჩანს, იგი გვიან უნდა იყოს მიშენებული, თუმცა ხუროთმოძღვარი მაინც ცდილა, ნაგებობა მთავარი ეკლესიის ფორმებისთვის დაემორჩილებინა.

ძეგლს არავითარი წარწერა არა აქვს. თარიღის დადგენის ერთადერთი საშუალებაა ძეგლის მხატვრული ანალიზი.

იდლეთის ეკლესიის ტიპი საქართველოში მრავლად გვხვდება, მაგალითად: მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია (545-586), შიო მღვიმის (550-560), სამწევრისის ეკლესიები. ეს ძეგლები არ არის ერთნაირი, თითოეულს თავისი ეპოქის დაღი აზის, მაგრამ მათი სქემა მაინც მსგავსია.

იდლეთის ეკლესიის თავისებურებაა ოთხკუთხა, დაბალი გუმბათის ყელი, რაც საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება. ჩვენში დიდი ყურადღება ექცეოდა გუმბათის პროპორციების ცვლას და გუმბათის ყელის წახნაგების რაოდენობას; საერთოდ, არქიტექტურაში გუმბათს გარკვეული მხატვრული დატვირთვა აქვს. ადრეულ კლასიკურ პერიოდში ეკლესიათა ინტერიერის სივრცის აღქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა გუმბათს და მის მახათა განაწილებას; გუმბათის ირგვლივ არის განაწილებული მთელი სივრცე (მცხეთის ჯვარი, ატენი, სამწევრისი, ძველი შუამთა, მარტვილი და სხვ.). მომდევნო ხანაში კლასიკური პერიოდის სიმეტრიულობა შეიცვალა ასიმეტრიულობით, ფორმათა სიმშვიდე — მოძრაობით; გუმბათი მაღლა აიტყორცნა, ხოლო მისი ყელი სარკმელებით დანაწევრდა; ოსტატი გუმბათის ყელს და თვით გუმბათს მაინც მაორგანიზებელ როლს აკისრებს. ამაზე მიგვანიშნებს საგანგებოდ ლამაზად გათლილი ქვა, მისი მწვანე ფერი, თუმცა მისი ერთგვარი სიტლანქე და სიმძიმე ასახოებს ამ შთაბეჭდილებას.

ეკლესიის ფასადები, როგორც უკვე ითქვა, სადაა. აღმოსავლეთის ფასადზე მოთავსებული წარწერიანი ქვა დამუშავების თვალსაზრისით არაფრით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც აძლიერებს ამ ფასადის ვერტიკალურ ღერძს. ტაძარს ერთადერთი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს. კარის არქიტრავი თითქმის მთელ დასავლეთ მკლავზე გადაჭიმული თაროთია ხაზგასმული. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადებზე ეს მცირეოდენი დეკორატიული ელემენტიც უარყოფილია. ტაძრის შინაგანი სივრცის ათვისებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ამ ერთადერთ კარს ენიჭება: ოსტატი დასავლეთის კარით მლოცველს უშუალოდ საკურთხევლისკენ მიმართავს, იგი ქმნის ჩაკეტილ სივრცეს, აღნიშნავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გავლებულ „მხატვრულ ღერძს“. ამ ღერძის ათვისებას დასავლეთის კარი კარნახობს. ძეგლის ფორმები, პროპორციები, შინაგანი სივრცის გადაწყვეტა მას აახლოებს მცხეთის მცირე, სამწევრისის, შიო მღვიმის ტაძრებთან. იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესიას სპეციალისტები VI საუკუნით ათარიღებენ.

ეკლესიაში დარჩენილია ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები. მართალია, მხატვრობა ძალზე დაზიანებულია, მაგრამ იგი მაინც იძლევა საშუალებას, აღდგეს მოხატულობის ძირითადი სქემა და დადგინდეს მისი შექმნის დრო. გუმბათში გამოხატული იყო „ამაღლების“ კომპოზიცია. შემორჩენილია მოციქულთა ფიგურების ნაწილები გუმბათის ყელში. საკურთხევლის კონქში წარმოდგენილი იყო „კედრების“ კომპოზიცია. ამჟამად დარჩენილია ქრისტესა და ღვთისმშობლის ფიგურების ქვემო ნაწილები და ქერუბიმი. საკურთხევლის კედლებზე კი ეკლესიის მამათა ექვსი ფიგურაა გამოსახული. სხვა კომპოზიციებიდან ცოტა რამ არის შემორჩენილი. სამხრეთის მკლავში დაცული ფრაგმენტი, ალბათ, იოანე ნათლისმცემლის (რომლის სახელობაზეც არის აგებული ეკლესია) ცხოვრების ერთ-ერთი სცენის ნაწილია. ჩრდილოეთის მკლავის კამარაში ჩანს წმინდანის მკრთალი ფიგურა. დასავლეთ მკლავის ცალკეული ფრაგმენტები თითქმის გამქრალია.

როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, გუმბათის ყელში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მოციქულთა ორ-ორი ფიგურა. გუმბათში სულ თორმეტი მოციქული იყო გამოსახული; მათ შორის არ ჩანს ღვთისმშობელი. შედარებით უკეთ არის დაცული ფიგურები ტრომპების ზედა სიბრტყეზე, თუმცა მთლიანად არც ერთი ფიგურა არ შემონახულა. საკმაოდ მაღალი და წვრილი ფიგურები მშვიდ პოზებშია გამოსახული. მკვეთრი ნახატი, ფორმის სიბრტყობრივი დამუშავება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო გ. სანაიასი

# იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?

❋

ბავშვებო, მოგვწერეთ რა არის აქ მოთავსებულ ფოტოზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ.

❋

გრაფიკული ფერწერული მანერა აახლოებს ამ ფიგურებს მაცხვარიშის (ზემო სვანეთი, მესტიის რაიონი) და იკვის (ქართლი, კასპის რაიონი) ეკლესიების XII საუკუნის მხატვრობასთან. ფიგურები ფრონტალურად დგანან, ნახატის კონტური მკაცრი და ჩაკეტილია. ჩაცმულობა (აცვიათ ფილონები) სადაა და მკაცრი, ერთფეროვანი ნაოჭებით ხასიათდება, მხოლოდ ერთი ფილონია ჯვრებით შემკული; ნაკვთები ჩამორეცხილია და მათზე რაიმეს თქმა შეუძლებელია. მოციქულთა შორის გამოსახულია ხეები. ფიგურებას ფონი რუხია. საკურთხევლის კონქში მოჩანს ქრისტეს მარჯვენა ფეხი, მუხლს ქვემოთ. ქრისტეს აცვია რუხი ჰიმატიონი და მიხაკისფერი ქიტონი. ადრინდელი მხატვრობის (მაგალითად, ზემო კრიხის ან მაცხვარიშის). დამახასიათებელი სამოსელის მკვეთრი და მკაცრი ნახატი აქ ოდნავ შერბილებულია. საკურთხევლის სარკმელი შემკულია ორი ორნამენტული ზოლით. შიგნითა, უფრო ფართო ზოლი გაფორმებულია ფაქიზი ნახჭით.

სამხრეთის მკლავის სამხრეთ კედელზე შემორჩენილი ფრესკის ნაშთი, როგორც ჩანს, „ჰეროდეს ნადიმის“ კომპოზიციის ფრაგმენტია. მოჩანს ტრაპეზის ნაწილი, ზედ ჭურჭელი დგას. ტრაპეზის უკან მამაკაცის ორი ფიგურაა გამოსახული, ერთი ყმაწვილია, ხელში დიდი ყანწი უჭირავს, მეორეც იმავე მდგომარეობაში უნდა იყოს გამოსახული. ორივეს ვიწრო სახელოებიანი, წელში გამოყვანილი სამოსელი აცვია, ტანსაცმელი ორნამენტირებულია. როგორც ჩანს, ამგვარი კოსტიუმები ტრადიციულია იმ დროისათვის (იგი იკვის მხატვრობაშიაც მეორდება) და საერო პირებისათვის არის დამახასიათებელი. მას აუცილებლად რეალური კოსტიუმები უდევს საფუძვლად. რბილი, გრძელი ხაზებით არის აღნიშნული თმები.

იმავე მკლავის აღმოსავლეთით „ნათლისღების“ სცენა უნდა იყოს გამოსახული.

ამგვარად, იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესიის ფრესკათა ფრაგმენტები უახლოვდება ქართული კედლის მხატვრობის ადრინდელ ძეგლთა გარკვეულ წრეს. რუხი და მიხაკისფერი კოლორიტი რბილი მონასმებით არის მიღწეული, რაც დამახასიათებელია სწორედ ადრეული ხანის მხატვრობისათვის. საკურთხეველში შესრულებული ორნამენტი ხასიათით მონუმენტურია, რაც ასევე ადრეულ ხანაზე მიუთითებს. ამრიგად, იდლეთის მხატვრობა XII საუკუნით უნდა დათარიღდეს. მხატვრობა, როგორც ჩანს, შეიქმნა ამ კუთხის ძეგლებთან (იკვი, ფავნისი, საორბისი) ერთდროულად. იდლეთის ეკლესია შეისწავლეს პ. ცინცაძემ და თ. ვირსალაძემ.

ა. ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

# ქართული აქატი

საქართველო მდიდარია დეკორატიული და ფერადი ქვებით. ჩვენში ბევრია სხვადასხვა ფერისა და ნახატის მქონე მკვრივი მარმარილო, სარკესავით პრიალა ტეშენიტები, ოქროსფერი, ლამაზნაყშიანი ტუფები, თვალისათვის საამო მწვანე ალბიტოფირები, მოწითალო თუ იისფერი ანდეზიტები და სხვ. გვხვდება აგრეთვე ძვირფასი, ნახევრად ძვირფასი, სანახელავო ფერადი ქვები — ძოწი, გიშერი, ბროლი, ეშმა, აქატი, ოპალი, ობსიდიანი...

მოგითხრობთ ერთ-ერთ მათგანზე, სახელდობრ აქატზე.

რომაელი მეცნიერის პლინიუსის ცნობით ამ მინერალმა სახელწოდება მიიღო სიცილიის მდინარე აქატესისაგან. ძველ ქართულ წყაროებში იგი სხვადასხვაგვარადაა მოხსენებული: აქატი, აქატე, აკატი, აგატი.

აქატი მინერალ ქალცედონის ზოლიანი სახესხვაობაა, აქვს ბოჭკოვანი ან რადიალურ-სხივური აგებულება. ქალცედონისაგან განსხვავებით, აქატი შედგება კონცენტრულად განლაგებული სხვადასხვა ფერისა და გამჭვირვალობის მქონე თხელი ფენებისაგან. განასხვავებენ ორგვარ აქატს. ერთია წვრილფენებრივი — საკუთრივ აქატი და მეორე — უხეშფენებრივი — ზოლიანი ონიქსი. მათთვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება — თეთრი, ნაცრისფერი, ლურჯი, წითელი, ნარინჯისფერი, თეთრი და შავი ფერების მორიგეობა და სხვ. ცნობილია ე. წ. ლანდშაფტური აქატი — გაკრიალებულ ზედაპირზე მკაფიოდ გამოხატული ლანდშაფტის სურათებით.

აქატი, როგორც ძვირფასი, საიუველირო ქვა, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი. ეგვიპტეში, ბაბილონსა და ასურეთში მისგან ამზადებდნენ მძივებსა და სხვა სამკაულებს, ჩინეთში — ქვის ყვავილებს. ბერძნები და რომაელები აქატს იყენებდნენ გრავიურისათვის. უძველესი დროიდან აქატისაგან ამზადებდნენ თასებს, ფიალებს, ლარნაკებს, დანისა და ხმლის ტარებს,



ჭადრაკის ფიგურებს და სხვ.

აქატი არა მარტო საიუველირო, არამედ უმნიშვნელოვანესი ტექნიკური ქვაცაა. ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ქარხნები ქართული აქატისაგან ამზადებენ სხვადასხვა დეტალს — საქუსლეებს, საყრდენ ქვებს, თვალაკებს, პრიზმებს, მასრებს, საათის ქვებს; იყენებენ თვითმწერი ხელსაწყოების, სხვადასხვა აღმრიცხველების, ტაქომეტრების, გალვანომეტრების, კომპასების, ბუსოლების წარმოებაში; ლაბორატორიებში ხმარობენ აქატისაგან დამზადებულ ფილებსა და ფილთაქვებს.

საქართველოში, როგორც ჩანს, ამ ქვას ბრინჯაოს ხანიდან იცნობდნენ; იგი ამკობს თრიალეთში ნაპოვნ ბრინჯაოს ხანის ოქროს კულონს. განვითარებული რკინის ხანის სამარხებში, მდ. რიონის სათავეებთან, ბროლში, ნაპოვნია აქატისაგან გათლილი უნიკალური მძივები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი აქატისაგან დამზადებული ნივთები ანტიკური დროის მცხეთაში, ურეკში, თბილისში, რუსთავში, წალკაში, ზემო ავჭალაში და სხვაგან. სამთავროში აღმოჩენილ ადრეული ფეოდალური ხანის არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება აქატით შემკული ქინძისთავები, რომლებიც მხოლოდ საქართველოში მზადდებოდა. ჩვენში ანტიკური დროიდან ცნობილია მთლიანად აქატისა[illegible]ლილი ბეჭდები, აქატის საბეჭდავები, მძივები და სხვ.

საქართველოში აქატის 40-მდე ბუდობია ცნობილი; მათ შორის 26 ახალციხის რაიონშია (წრიოხი, გურკელი, შავი კლდე, აგარა, ზიარეთი, პამაჯი, საქონდრია, ორალი, გიორგიწმინდა...). აქატს შეიცავს ახალციხის ქვაბურის ვულკანური ქანები — ანდეზიტური პორფირიტები.

აქატი გვხვდება ქანებში ჩანართების, ძარღვებისა და ნუშის ფორმის ე. წ. „მინდალინების“ სახით. აქატის მინდალინებს სფერული ან ელიფსური ფორმა აქვთ, მათი ზომაა 10-12 სმ, წონა — 0,5-07 კგ. გვხვდება „გიგანტური“ — ერთ მეტრზე მეტი სიგრძისა და 140-150 კგ-მდე წონის მინდალინებიც. ახალციხეში ცალკე უნდა აღინიშნოს პამაჯის ტიპის ცილინდრული, ხის ღეროს ფორმის აქატი. ახალციხის აქატი ფიზიკური თავისებურებებით (სიმაგრე, სიმკვრივე, სიბლანტე, მინდალინების სიდიდე, ერთგვაროვნება, ბზარებისა და ჩანართების უქონლობა) ყოველმხრივ აკმაყოფილებს მრეწველობის მოთხოვნილებებს.

ამჟამად აქატს ძირითადად ზიარეთსა და ორალში იღებენ. აქ გვხვდება წითელი, ლურჯი, ყავისფერი, ღია ნაცრისფერი, მაღალი ტექნიკური თვისებების მქონე აქატი, რომლისგანაც ნაირგვარ დეტალებს ამზადებს თბილისის ქარხანა „აქატი“. სოფელ ვალეში აქატისა და კვარცის ჯგუფის სხვა ფერადი ქვებისაგან სპეციალური საწარმო ამზადებს სამკაულებს.

ოთხი ათასი წლის წინათ დამზადებული თრიალეთის ოქროს კულონი და ერმიტაჟში დაცული მაგიდა მჭევრმეტყველურად ლაპარაკობენ ქართული აქატის შესანიშნავ თვისებებზე.

**ვალერიან ზუხბაია,**
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე ნ გ ი ზ   მ ო რ ჩ ი ა შ ვ ი ლ ი

# სვანეთი

მწყემსის შოლტივით დაწნულო გზებო,
კლდეს ჩაკირულო ჩანჩქერის თმებით,
გთხოვთ, ამიყვანოთ ღრუბლების ზემოთ
და დამანახოთ სამყარო მთელი.
მინდა, აღზევდეს სულში სიშორე,
შევხსნა, შევლეწო ზეცის თავანი...
მთავ, ჩემს თვალთაგან ვერ მოგიშორე,
მთავ, ადექი და გამითამამდი!
სახეშეშლილი კოშკების ჯვარცმა,
თეთნულდი,
შხარა,
შხელდა,
მესტია...
ზეშთაგონება, ლექსი და განცდა
აქ ყველაფერზე უფრო მეტია.
გიჟი ენგური — გადასარევი,
მთები ზღაპრული — დიდზე დიდები,
მუდამ პირქუში, ფიცხი სვანები,
ხელგაშლილნი და სულით მდიდრები.
ნიავდაკრული, შავთვალა ღამე
და ვარსკვლავების ცისფერი წვიმა,
მზე და სინათლე, ვით ნიაღვარი
და თოვლის შუა ზაფხულში ბრწყინვა.
მწყემსის შოლტივით დაწნულო გზებო,
ცას ჩამობმულო ჩანჩქერის თმებით,
გთხოვთ, ამიყვანოთ ღრუბლების ზემოთ
და დამანახოთ სამყარო მთელი!




### დათვები ქუჩაში სეირნობენ

ცნობილია, რომ არსებობს სასამსახურო საბუთები ავტობუსით, ტრამვაით თუ ტროლეიბუსით უფასო მგზავრობისათვის. ტაქსისტები კი ასეთ საბუთებს არ ცნობენ. მიუხედავად ამისა, გვხვდება გამონაკლისი: ტაქსით უფასოდ მგზავრობის უფლებით სარგებლობს, მაგალითად, კანადის პატარა ქალაქ ჩერჩილის (ჰუძონის უბის დასავლეთ ნაპირას) საავადმყოფოს პერსონალი იმ დღეებში, როცა ქალაქში გამოცხადებულია „დათვების განგაში". საქმე ისაა, რომ კანადური დათვი გრიზლი ქ. ჩერჩილის სანაგვეების ხშირი სტუმარია — როგორც ჩანს, მას არ ყოფნის ტყეში მოპოვებული საკვები. „დათვების განგაშის" დღეებში ქალაქის ქუჩებში ხშირად 100—140 გრიზლი „დასეირნობს" ხოლმე.

### მოთხილამურე ციყვი

სანდფორდის ტბის მიდამოებში (აშშ, ფლორიდის შტატი) გამოკრულია ფირნიშები, რომლებიც მაყურებელს ტვიგის „საჩვენებელი გამოსვლების" სანახავად ეპატიჟებიან. ტვიგი ჩვეულებრივი ციყვი გახლავთ. მისმა პატრონმა ხანგრძლივი წვრთნის შედეგად იგი შეაჩვია წყალს და არა მარტო წყალს, არამედ საწყლოსნო თხილამურებსაც კი. მართლაც საინტერესო სანახავია, რა მარჯვედ მისრიალებს პაწია თხილამურებით ტელემართულ კატარღაზე გამობმული კუდბუთქუნა ციყვი. მერე რა ვუყოთ, ხანდახან თუ გადაბრუნდება და წყალში ჩავარდება — ტვიგი არ იბნევა და თამამად მიცურავს ხოლმე ნაპირისაკენ, სადაც ყოველთვის ელოდება ჯილდო — პატრონის მიერ მომარაგებული თხილი.

### თაგვების რისხვა

დასავლეთევროპული ფოლკლორი კარგად იცნობს თაგვისმჭერის ლეგენდას: შორეულ წარსულში გერმანულ ქალაქ ჰამელნს თაგვები შეესივნენ. ქალაქის მესვეურნი ჭრელკოსტუმიან მესალამურე-თაგვისმჭერს მიადგნენ, იქნებ გვიშველოო. იმანაც სალამურით მომაჯადოებელი მელოდია დაუკრა, თაგვები მდინარე ვეზერისაკენ გაიტყუა და იქ ჩაახრჩო...

ისტორია მეორდება ხოლმე. მსგავსი ამბავი მოხდა დიდი ბრიტანეთის ქალაქ საუთპორტში (ლანკაშირის საგრაფო). უბედურება ეწვია ხელოვნების ტაძარს — ყვავილოვან დარბაზს, რომელიც პირდაპირ დაიპყრო თაგვების არმიამ. სათაგურმა და შხამმა არავითარი შედეგი არ გამოიღო. და აი, ერთ საღამოს ყვავილოვან დარბაზში გაიმართა როკ-მუსიკის კონცერტი. მაყურებლებმა მგრგვინავი მუსიკა ნორმალურად აღიქვეს, ხოლო რაც შეეხება თაგვებს... თითქოს ცოცხით გამოჰგავესო, ერთიც არ დარჩენილა შენობაში, არავინ იცის, მდინარეში ჩაიხვრჩნენ თუ არა, მაგრამ ეს კია, იმ დარბაზში აღარ დაბრუნებულან.









შუაზე გატეხილი სათვალის ჩარჩო შეიძლება ასე შეაკეთო: გადატეხილ ღერძულასთან 1,5 მმ დიამეტრის ნასვრეტები გააკეთე, ამ ნასვრეტებში რუსული „პ“-ს მსგავსად მოხრილი მავთული ჩაამაგრე და მავთულს გარეთ გამოყოფილი ბოლოები გადაუღუნე. ახალი სათვალის შეძენამდე ეს ჩარჩო კარგა ხანს მოგემსახურება.

ავტოკალამს თუ მელანი ეპარება და ხელებს გისვრის, ჯერ კარგად გარეცხე იგი, შემდეგ აიღე ვაზელინი და შიგნიდან წასცხე კალამს. ვაზელინი მელანს კარგად აკავებს.

დიასახლისებს უყვართ მინის ქილაში ბურღულეულის შენახვა. მინის ქილას პლასტმასის ხუფი მჭიდროდ ეხურება, მაგრამ ხუფის მოხდა, ცოტა არ იყოს, საწვალებელია. ხუფს სამართებლით გაუკეთე ანაჭერი — ნახვრეტი, ოღონდ ისე, რომ ანაჭერს ენა არ მოწყვიტო! ნახვრეტიდან ბურღული რამდენიც გნებავს, იმდენი გამოიყრება.

აკვარიუმის გასანათებლად და გასათბობად საკმარისია აკვარიუმის კედელს ფოტოლაბორატორიის ნათურა მიამაგრო და პერიოდულად ჩართო ხოლმე.

ტელეფონის აპარატმა მაგიდიდან გადმოცურება იცის. აპარატის საყრდენი ფეხები ჩადგი ლიმონათის ბოთლის ხუფებში, ხუფებს კი ქვეშიდან პლასტილინი ამოაწებე და აპარატი ძვრას აღარ იზამს.

სარჩილავისათვის ასე შეგიძლია რბილი მავთულისაგან სახელდახელო სადგარი გააკეთო.















ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

ნ. აფხაზავა — ეზოს კლუბი — ბავშვების მეგობარი (ნარკვევი) . . . . . გარეკ. 2
ი. რურუა — თუბალთხევის საიდუმლოება (მოთხრობა, დასასრული) . . . . . 3
ი. აფციაური — ლექსები . . . . . "
გ. ჭიჭინაძე — ქაღალდის ჩიტი (პიესა-ზღაპარი) . 9
თ. ცაგარელი — ჩვენ სემიონოველები ვართ (ნარკვევი) . . . . . . . 13
ჩვენი სტუმარია ლატვიის სსრ საბავშვო ჟურნალი „დრაუგსი“ . . 14
ა. კლარკი — მხატვარი (მოთხრობა) . . . . 18
ე. დიდიმამიშვილი — ჩითახევთან (ლექსი) . . 19
აისი . . . . . . . . . 20
ბუნების კარი . . . . . . . . 23
დედამიწა და სამყარო . . . . . . 24
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? . . . . . . . 26
ვ. ზუხბაია — ქართული აქატი . . . . 28
თ. მორჩიაული — სვანეთი (ლექსი) . . . . 29
ჯადოსნური სარკე . . . . . . . 29
ა. მიცკევიჩი — მამილოს დაბრუნება (ბალადა) . 30
ცხრაკლიტული . . . . . . . . 31
ფოკუსის მიღმა . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . 32
ოქროს საქანელა (მუსიკალური ნოტი) . გარეკ. 3
უცხოური იუმორი . . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თემურ ფხიკიძისა.

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26. 04. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 07. 82 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1381 ტირ. 151.500 ეგზ. უე 06364.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151.500 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1982 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს საქანელა

ტექსტი
ლოლო გვიშიანისა
მუსიკა
გივი ალაზნისპირელისა



1. ოქროს თვალო, მზის ბორბალო,
იტრიალე ნელა,
მაღალ მთას არ მიეფაროს
შენი საქანელა.

მისამღერი:

ია-ვარდით მოქარგულო,
შენ ვის უმღერ, ნაკადულო?

2. მერცხლებო და ტოროლებო,
ინავარდეთ ცაში,
წრე შეჰკარით, ყვავილებო,
დამიკარით ტაში.

მისამღერი:

მე შენ გიმღერ, გაზაფხულო,
ოქროს ყალმით დახატულო.
თეთრო, თეთრო ნაკადულო,
ყვავილებში ჩაკარგულო.

3. მომეცი ხელი, ლურჯთვალა იავ,
გავეკიდოთ ნიავს,
ჭრელო პეპელა, გავფრინდეთ
ველად,
იქ მოგველის ყველა.

(თავიდან)

4. მოცეკვავე ჩანჩქერო,
ჩამობრძანდი ბარში,
აშრიალდით, ხის ფოთლებო,
დამიკარით ტაში.
მისამღერი: (გამეორდება)

ორი ამხანაგი ცნობილი მხატვრის სურათების გამოფენას ათვალიერებდა. მხატვრის ავტოპორტრეტის წინ რომ შეჩერდნენ, ერთი დაეჭვდა: ამას თვითონ როგორ დახატავდა, ხელები ჯიბეებში უწყვიაო.

●

ფ ო ტ ო გ რ ა ფ ი: ახლა გაიღიმე, ბიჭუნა, და უცქირე, როგორ გამოფრინდება ჩიტი!

ბ ი ჭ უ ნ ა: ზღაპრებს მოეშვით! ხჯობს აიღოთ ექსპონომეტრი, შეამოწმოთ განათება და სწორად დააყენოთ დიაფრაგმა, რომ ფირი არ გაფუჭდეს.

●

ერთმა ქალმა მათხოვარი გაიკითხა და თან ნუგეში სცა:

— რა თქმა უნდა, კოჭლობა ცუდია, მაგრამ სიბრმავე კიდევ უარესია.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო! როცა ბრმა ვიყავი, ხშირად ყალბ ფულს მაჩეჩებდნენ.

●

— მამა, იმ ამოცანაში, გუშინ საღამოს რომ ამომიხსენი, შეცდომა აღმოჩნდა. — უთხრა პატარა ოტომ მამას.

— უჰ, რას ამბობ? ძალიან ვწუხვარ!

— ნუ იდარდებ, მამიკო, ვერც სხვა მამებმა ამოხსნეს.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ამირანაშვილმა.

ინდექსი 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

6191/131



ექსპონატები აღებულია ბავშვთა სურათების გალერეაში მოწყობილი გამოფენიდან, რომელიც მიეძღვნა პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავს.



